სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მირიან ინდუაშვილი

აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები შიდა ქართლის რეგიონში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. ლეილა მამულაშვილი

გორი

2020

ანოტაცია

აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები შიდა ქართლის რეგიონში

მირიან ინდუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარებაში.

სოფლის მეურნეობას თავისი მასშტაბისა და მასში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკაში და მისი ზრდის საქმეში. სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, რაც დღეისათვის სოფლად სიღატაკის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ახალი გამოწვევების წინაშეც დადგა საქართველო. საჭიროა წარმოებულ იქნას ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზრებზე დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრი ზრდის და კლიმატისგ ლობალური დათბობის პირობებში მოსალოდნელია სურსათის მწვავე დეფიციტი, რაც განვითარებულ ქვეყნებს აიძულებთ სერიოზულად გადახედონ თავიანთ აგრარულ პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგრო სასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას. ასევე, კონკურენტული უპირატესობის მქონეპროდუქტების საექსპორტოპო ტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. საქართველოს აგრო ბიზნესის რეგულირების პროცესი სოპტმიზაციასა და ეფექტურობის ზრდას;

Annotation

Problems and prospects for the development of agribusiness in the Shida Kartli region

Mirian Induashvili

Georgian agriculture has rich traditions, which is an integral part of the country's history, consciousness and cultural heritage. This combination has played an important role for centuries in Georgia as a state of development of the state.

According to the scale of agriculture and the number of people employed in it, there is an important role in the country's economy and its growth. Moreover, agriculture and agriculture business represent one of the main sources of income for the population, which is the most important factor in the eradication of poverty in rural areas

Our country is faced with new challengesafter signing the Association Agreement with the European Union. It is necessary to conduct European standards, ecologically clean, competitive products, and to secure a decent place in international markets. It should be noted that according to the United Nations and the World Bank's forecast, the sharp increase in food prices in the 40-50s of the current century and the global warming and climate global warming is expected to make countries seriously review their agrarian policies, which will force the developed countries to seriously review their agrarian policies. Therefore, our country's most important task is the country's agricultural sector in the development of such a model, which will facilitate the provision of affordable and high-quality food. Also, the competitive advantage of products with export potential to the maximum use. Optimization of Georgia's agribusiness regulatory process and increase of efficiency;

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი ---------- 4

თავი I. აგრარული სექტორი და მისი განვითარების პრობლემები ---------- 6

1.1 აგრობიზნესის განვითარება და ქვეყნის აგრარული პოლიტიკა ---------- 6

1.2. აგრარული სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები თანამედროვე ეტაპზე ---------- 11

1.3. შიდა ქართლის გეოგრაფიული, ბუნებრივი, ეკოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური გარემო ---------- 18

თავი II. ინფორმაციის და PR-ის მნიშვნელობა აგრობიზნესის განვითარებისათვის --- 26

2.1. საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება სოფლის მეურნეობაში ---------- 26

2.2 მონაცემთა შეგროვების და დამუშავების ინფორმაციული სისტემის შექმნა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება ---------- 30

2.3 საფინანსო-სადაზვევო ურთიერთობები აგროსფეროში და ბაზრის ანალიზი 36

თავი III. მთავარი სტრატეგიული მიმართულებები აგრობიზნესში ---------- 42

3.1 აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება ---- 42

3.2 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია ---------- 45

3.3 მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობა აგრობიზნესში ---------- 50

თავი I V. სახელმწიფოს მხარდაჭერა აგრარულ სექტორში და პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებები ---------- 57

4.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის როლი აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტაში და ძირითადი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები ---------- 57

4.2. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მსოფლიო გამოცდილება ---- 60

დასკვნები და წინადადებები ---------- 67

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 70

შესავალი

თემის აქტუალობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარებაში. აგრო ბიზნესი ოდითგანვე ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს. მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში. აგრარულ სექტორში საქმიანობა უძველესი დროიდან საქართველოს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია აგრო ბიზნესის აქტუალური პრობლემების ფუნდამენტური საკითხების განხილვა. არსებული პრობლემების გამოკვეთა და აგრო ბიზნესის რეგულირების სრულყოფის გზების შემუშავება, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება. აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელია ქართველი და უცხოელი ეკონომისტების შეხედულებათა შესწავლა, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნების აგრო ბიზნესის რეგულირების გამოცდილების გააზრება და საქართველოშ იმისი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა; საქართველოს აგრო ბიზნესის რეგულირების პროცესის ოპტმიზაციისა და ეფქტურობის ზრდის მიმართულებათა მოძიება; აგრო ბიზნესის სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული ძირითადი მიდგომების რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთება.

კვლევისობიექტი. კვლევის ობიექტია ძირითადად შიდა ქართლის რეგიონი, არსებული პრობლემები, აგრარული პოლიტიკა და აგრო ბიზნესის რეგულირების გზები. კვლევის ძირითადი მეთოდებია: ეკონომიკური ანალიზი და სინთეზი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომში გაანალიზებულია აგრო ბიზნესის ძირეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებათა სისტემატიზაციის საფუძველზე წარმოდგენილია აგრო ბიზნესის სფეროს რეგულირების ძირითადი მიმართულებები; საინვესტიციო შესაძლებლობების

შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების გზები სოფლის მეურნეობაში; მონაცემთა შეგროვების და დამუშავების ინფორმაციული სისტემის შექმნის თავისებურებები და საფინანსო-სადაზვევო ურთიერთობების ბაზრის ანალიზი აგროსფეროში. შემუშავებულია სამეცნიერო - პრაქტიკული და საორგანიზაციო ხასიათის რეკომენდაციები. დასაბუთებულია აგრო ბიზნესის ოპტიმიზაციის ობიექტური აუცილებლობა; განსაზღვრულია საქართველოში აგრო ბიზნესის სრულყოფის გზები.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება. ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნასსასოფლო-სამეურნეო პროცესების გარკვეული მიმართულებების რეფორმირებისა და განვითარებისას;

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომის საერთო მოცულობაა 80 გვერდი. სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის და ინტერნეტ-რესურსების სია.

თავი I.

აგრარული სექტორი და მისი განვითარების პრობლემები

1.1 აგრობიზნესისგანვითარებადაქვეყნისაგრარულიპოლიტიკა

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგრო სექტორში მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. საქართველოში აგრობიზნესის წარმოება ნიშნავს მოგების მიღებას შედარებით მოკლევადებში, მიწის საკუთრების ლიბერალურ მოდელს და მცირე წინასწარი კაპიტალდაბანდების საჭიროებას.

დიდიადარგისპოტენციალიწარმოებისმასშტაბისეკონომიისდამოცულობისხარჯზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ფერმერული საქმიანობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით.[1]

საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და ჯანსაღი ბიზნეს - გარემო შესაფერის პირობებს ქმნის მრავალნაირი ხილის და ბოსტნეულის მოსაყვანად და გადასამუშავებლად. ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები, ასევე ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი და რეგიონული მოთხოვნილების ზრდა, საქართველოს მიმზიდველს ხდის აგრობიზნესის

1 ალექსანდრე არაბული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი - https://openscience.ge/bitstream/1/778/1/samagistro%20arabuli%20aleqsande.pdf

განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს ასევე გააჩნია კონკურენტუნარიანი წყლის და ენერგო რესურსები, მზარდი ეკონომიკა, ლიბერალური შრომის ბაზარი და დაბალი შრომითი დანახარჯები

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის,

ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % (ანუ 3 მილიონჰექტარზემეტი) ითვლებ ასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, აქედან შიდა ქართლის რეგიონზე მოდის 69,425 ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ქვეყნის სხვა რეგიონებთან - კახეთთან, ქვემოქართლთან, იმერეთთან - შედარებით მცირეა, ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მემცენარეობას. მემცენარეობა, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგია, რომლის მიზანია უმთავრესად კულტურული მცენარეების მოყვანა მცენარეული პროდუქციის წარმოების მიზნით. მემცენარეობა იძლევა სასურსათო პროდუქტებს, პირუტყვისათვის — საკვებს, კვების, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობისათვის - მცენარეულ ნედლეულს. მემცენარეობა მოიცავს მებოსტნეობას, მეხილეობას, მევენახეობას, მეტყევეეობას. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მეცხოველეობასთან. ხილის უმეტესი სახეობის წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა. რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობასაც. მეცხოველეობა - სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს, რომლის ამოცანაა სასოფლო - სამეურნეო ცხოველთა მოშენება და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობა უზრუნველყოფს მოსახლეობას სხვადასხვა პროდუქტებით, მსუბუქ მრეწველობას - ნედლეულით (მატყლი, ტყავი, ჯაგარი, ბეწვეული და სხვა), იძლევა გამწევ ძალას, ორგანულ სასუქს. მეცხოველეობის პროდუქტებისა და მათი ნარჩენებისაგან ამზადებენ ცხოველურ საკვებს და სამკურნალო პრეპარატებს. შიდა ქართლის რეგიონში მეცხოველეობის უფრო მეტად განვითარებული დარგია მეძროხეობა და მეფრინველეობა. სხვა მრავალ

სიკეთეებთან ერთად აღნიშნული დარგი იძლევა ორგანულ სასუქს, რაც ასე მნიშვნელოვანია ბილოგიური მეურნეობებისათვის.

ბიომეურნეობა აერთიანებს და ჰარმონიულად განავითარებს საზოგადოების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს. ბიომეურნეობების განვითარება შესაძლებლობას გვაძლევს ვაწარმოოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების ზრდას. ყოველივე ეს კი სურსათზე ადგილობრივი მოთხოვნილების დასაბალანსებლად იმპორტული პროდუქციის შესყიდვის საშუალებას იძლევა. ბიომეურნეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და გასაღების მოწესრიგებული სისტემაა. ბიომეურნეობა ითვალისწინებს მცენარეების, ცხოველების და ლანდშაფტების ბუნებრივ წარმადობას, რომელიც მიმართულია აგროწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისა და გარემოს შენარჩუნებისაკენ.

ბიომეურნეობაში მკვეთრად შეზღუდულია წარმოების საშუალებების გარედან შემოტანა, როგორც წესი, არ გამოიყენება ქიმიური ნივთიერებები (სინთეზური სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და საკვები დანამატები); ნიადაგის ნაყოფიერების, ცხოველების და მცენარეების ჯანმრთელობის ასამაღლებლად და მთლიანად მეურნეობის მდგრადობისთვის ,მისდევენ ბუნების კანონებს. მთელ მსოფლიოში მსგავსი წესები დაცვით ეწევიან მეურნეობას. უმნიშვნელო ცვლილებები კი გამოწვეულია ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური, გეოკლიმატური და კულტურული თავისებურებებით.

ბიოწარმოების ძირითადი პრინციპებია: ჯანმრთელობა: ჯანსაღი ნიადაგი, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები და ჯანსაღი პლანეტა; ბუნებრივი ეკოსისტემის შენარჩუნება;

თანასწორობა, პატივისცემა და სამართლიანობა ყველა ცოცხალ არსებას; ზრუნვა მომავალი თაობებისთვის.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობია მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება უმდიდრესი ფლორით და ფაუნით, დიდი სამონადირეო და სათევზაო სივრცით, ტყის ფონდის სიდიდითა და უნიკალობით,

სამთო - სათხილამურო ტრასებით, მდიდარი ისტორიული და საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ძეგლებით. აგროტურიზმის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქის მცხოვრებლები გაეცნონ სოფლის ცხოვრებას, ხალხურ ტრადიციებს, იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და სხვა. აგროტურიზმი ტურისტული ინდუსტრიის შედარებით ახალი სექტორია, რომელიც რეკრეაციის მიზნით ითვალისწინებს ტურისტული ჯგუფების მოგზაურობას დასვენების, ხშირ შემთხვევაში კი, ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გაცნობას.[2]

ჩვენი ქვეყნისთვის უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგრო სასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შუწყობს მოსახლეობის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათითუზრუნველყოფას. ასევე, კონკურენტული უპირატესობის მქონეპ როდუქტების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

პროდუქციის წარმოების ტრადიციული წესი და ტექნოლოგიები, სივრცე, ლანდშაფტი, განვითარებული ინფრასტრუქტურა ერთად მიმზიდველ გარემოს ქმნის ადამიანებისათვის და ყოველწლიურად აგროტურიზმის პოპულარობას ზრდის.

ამ სახეობით დაინტერესებული ტურისტების მოტივაციაა: ბუნებასთან განმარტოება, კლიმატი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ცხოვრების წესისა და სტილის შეცვლა. მათთვის საინტერესოა ნიადაგის დამუშავება და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ადგილობრივი ტექნოლოგია, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების წესები. საქართველოში აგროტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელია აგროტურიზმის განვითარებისათვის;

მეურნეობის ნატურალური ხასიათი, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტრუქტურა, ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენება, წარმოებული პროდუქციის მეურნეობაშივე გადამუშავების ტრადიცია, ადგილობრივი პროდუქტებით კერძების

---

2 აგროკავკასია - https://agrokavkaz.ge/agroplus/agroturizmis-ganvitharebis-gzebi-da-perspeqtivebi-saqarthveloshi.html

მომზადების შესაძლებლობა. სოფლად მცხოვრებთა სახლების საერთო ფართობი, ოთახების რაოდენობა და განლაგება, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა შესაძლებელს ხდის შედარებით მცირე დანახარჯებით მოეწყოს ტურისტებისათვის დასვენების პირობები;

გროტურიზმის, აგრომრეწველობის და აგრობიზნესის კომპლექსური განვითარების პრიორიტეტულობა დადგენილია ლანდშაფტური გარემოსა და აგრარული მეცნიერებების განხორციელების ფარგლებში. ეს სექტორები წარმოადგენენ ქართული სოციალურ - ეკონომიკური განვითარების საფუძველს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით, აუცილებელია გაიზარდოს საქართველოს, როგორც აგროტურისტული ქვეყნის იმიჯი, დავეხმაროთ ადგილობრივ აგროტურისტულ ინდუსტრიას საკუთარი პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციის ეფექტურად წარმოჩენაში; შევქმნათ ხელსაყრელი გარემო აგროტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის.

ტურიზმის ეს სახე საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. ამ მხრივ შიდა ქართლის რეგიონი დიდი პოტენციალის მატარებელია. იგი ორიენტირებულია საშუალო და საშუალოზე დაბალი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. საქართველოში აგროტურიზმის დანერგვისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით აქტიურად საქმიანობს სხვადასხვა არასამთავრობო სექტორიც. აგროტურიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 80-იან წლებში გაჩნდა და დღეს ყველგანაა განვითარებული. იქ, სადაც გლეხი არსებობს, არსებობს სტუმარმასპინძლობის ტრადიციაც. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში ბევრი სპეციფიკური და მიზნობრივი ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვს. აგროტურიზმი ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას. მცირე და საშუალო ტურსაწარმოებში შეიძლება გაერთიანდნენ სოფლის თვითმმართველობა, კულტურული ობიექტების წარმომადგენლები, მცხოვრებნი, რომლებიც ადგილზე მზად არიან ტურისტული ბიზნესისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობას და კერძოდ, კი აგრობიზნესს, გააჩნია საინტერესო, ღირებული და მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობები. საქართველოს ეკონომიკისზრდის ტემპის ფონზე იზრდება მოთხოვნა ხარისხიან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. იზრდება საქართველოს, როგორც რეგიონული ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა და საქართველო წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ხელსაყრელად ღირს შიდა თუ გარე, მეზობელი ქვეყნების მზარდი მოთხოვნის ზრდის ფონზე. მათ შორის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რომელთანაც საქართველომ ხელი მოაწერა ღრმა და ყოვლის მომცველ თავისუფალ ივაჭრობის ხელშეკრულებას. საქართველოში აგრობიზნესის განვითარება ნიშნავს გამარტივებული, ხელსაყრელი და გააზრებული საგდასახადო კანონმდებლობით და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობას, ასევე, მოგების მიღების შედარებით მოკლე ვადებს, მიწის საკუთრების ლიბერალურ მოდელს და მცირე წინასწარი კაპიტალდაბანდების საჭიროებას. განუზომლად დიდია დარგის პოტენციალი წარმოების მასშტაბის ეკონომიის და მოცულობის ხარჯზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ფერმერული საქმიანობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში.

მნიშვნელოვანია, რომ დღეს სოფლის მეურნეობის დაფინანსების წყარო მრავალგვარია: სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხები, გრანტები და კერძო ინვესტიციები (ადგილობრივი და უცხოური). აგრარული პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში ხელი ეწყობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებას; იქმნება ფერმერთა რეესტრი; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილია მომსახურებითა და ნედლეულით; ძლიერდება და ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო, სალიზინგო და სადაზღვევო სისტემა; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი არიან ხელმისაწვდომი იაფი ფულადი სახსრებით; გრძელდება ფერმერული კოოპერატივების / ასოციაციების აქტიური განვითარება.

1.2. აგრარული სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები თანამედროვე ეტაპზე

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. საბაზრო აგრარულ ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ მთლიანად შეიცვალა აგრარული სტრუქტურა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი. ჩამოყალიბდა საადგილ მამულოუ რთიერთობათა ახალი სისტემა. სოფლის მეურნეობამ აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება სრულიადა ხალ, საბაზრო ეკონომიკურ გარემოში და შეიძინა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და ნიშნები. ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებასა და სპეციალიზაციაში. ფორმირებულია სასურსათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი, აგრო სექტორში ვითარდება მეწარმეობა და აგრო ბიზნესი.

აგრარული სექტორის განვითარება გარკვეულ ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული, რომლის ძირითადი კომპონენტებია: რელიეფი, ნიადაგი, კლიმატი, მიწისზედაწყლები, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა 3 720.4 მილიონი მოსახლეობით, საიდანაც სოფლად 42,8% ცხოვრობს. საქართველოსტერიტორია 7 მილიონიჰექტარია. სოფლის მეურნეობის სავარგულებისათვის გამოსადეგიმთელი სახნავი ფართობისმ ხოლოდ 40%-მდეა ათვისებული, რაცსაკმაოდ დაბალია და თითოეულ მოსახლეზე 0,16 ჰექტარს შეადგენს. საქართველო ძირითადად მთიანი ქვეყანაა და დაყოფილია 9 რეგიონად და 2 ავტონომიურ რესპუბლიკად. შეიქმნა სასურველი პირობები საკუთრების მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის სასოფლო - სამეურნეო საწარმოთა თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებისათვის, შექმნილია კონკურენციის პირობები და სხვ. მაგრამ აგრარულ სექტორში არსებული შედეგები მიუთითებენ, რომ ის ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით მწვავე კრიზისი იგრძნობა სურსათის წარმოების საქმეში. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კრიზისიდან თავისდაღწევას. ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალომოსავლიანობაპოტენციურისმხოლოდ 1/3-სშეადგენს. სახნავ-სათესი

ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი 2018 წლის მონაცემებით 29%-ით სჭარბობ სექსპორტს.[3]

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 54%.

ძალზე აქტუალურია ქვეყნის აგრარულ სექტორში საბაზრო მექანიზმის რიგი თეორიული და პრაქტიკული მიდგომების, მეთოდების გამოყენების, მიზანშეწონილობის, მეცნიერული დასაბუთებულობის და ჩამოყალიბებული ეკონომიკური მოდელის ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზი და შეფასება. სასურსათო პროდუქციის წარმოება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობის უძველესი ფორმაა. თანამედროვე პირობებშიც კი ამ პრობლემის დაძლევა მოითხოვს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. საზოგადოების უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით საბოლოო ჯამში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს. კრიზისი სოფლის მეურნეობაში და მისი წარმოების ვარდნა მძიმე დარტყმას აყენებს მთელს ეკონომიკას, ვინაიდან ამას ბუნებრივი რესურსების დანაკარგებამდე მივყავართ, რომლის ანაზღაურებაც ქვეყანას სურსათის იმპორტი თუხდება. სოფლის მეურნეობაში ხშირ შემთხვევაში არის წარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა საკუთარი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. წლების განმავლობაში ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, რომ ხდებოდა გლეხის გაუცხოება მიწასთან. დღეისათვის ეს ნაწილობრივ აღმოფხვრილია.

საქართველოში მიწის ეფექტიანობის შესაძლებლობების მესამედიც არ არის დღეს გამოყენებული, ეს კი, აგრარული სექტორის განვითარებას სერიოზულად აფერხებს. საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, რაც რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პროდუქციის მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების ნაკლებობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა.სოფლის მეურნეობაში ქვეყანა გარკვეულწილად

3 Bpn ბიზნეს სიახლეები - https://www.bpn.ge/article/22994-ratom-ar-vitardeba-sakartveloshi-msxvili-permeruli-meurneobebi/

იმპორტზეა დამოკიდებული, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივ აგრობიზნესზე. სექტორის წინაშე რამდენიმე ძირითადი პრობლემა დგას: ინვესტიციების სიმცირე, კრედიტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა გარკვეული ფენისათვის, სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის ნაკლებობა, საირიგაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. ბოლო წლებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა ძირითადად ექსტენსიური გზით, მაღალი რისკის პირობებში ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება მელიორაციას, ქიმიზაციას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორებს, ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მინიმალური დონით გამოიყენება.

2004-2018 წლებში სოფლი სმეურნეობის ზრდის საშუალო ტემპი -0.4%-ია. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვან სფეროდ გამოცხადდა და მეტად დაფინანსდა 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით. განსაკუთრებით პრუდუქტიული აღმოჩნდა უფასო ხვნა-თესვის პროგრამა, რამაც 2013 წელს სექტორის 11.3%-იანი ზრდა გამოიწვია. თუმცა ამის შემდეგ, 2014-2015 წლებში, ზრდის ტემპი 1.5%-მდე შემცირდა, 2017-2018 წლებში კი ზრდის ნაცვლად სექტორი დაახლოებით წლიურ 3%-იან კლებას განიცდიდა. 2013-2018 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის მთავრობამ მილიარდლარზე მეტი დახარჯა. ეს თანხა განაწილდა შეღავათიან აგრო-კრედიტზე, უფასო ხვნა-თესვაზე, საწარმოების დაფინანსებაზე, პროექტ ,,დანერგემომავალზე", ქართული ჩაის აღდგენის პროგრამაზე, აგროდაზღვევაზე, ყურძნისა და ციტრუსის ფასის სუბსიდირებაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, დარგში მეცნიერულ კვლევებზე და ა.შ. აღნიშნული მილიარდი ლარის გარდა, ცალკე 300 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენასა და აშენებაზე.

მთავრობის მიერ ფულის ხარჯვას დაემატა ისიც, რომ ევროკავშირსა და ბევრ სხვა ქვეყანაში საბაჟო გადასახადის გარეშე შეგვიძლია პროდუქციის გატანა. 2013 წლიდან რუსეთმა სოფლის მეურნეობის ნაწარმზე ემბარგო მოგვიხსნა. უამრავი დონორი ეხმარება გრანტებით და ცოდნით სოფლის მეურნეობის დარგს. ამ ფონზე საქართველოს

სოფლის მეურნეობაში ზრდის ნაცვლად კლება გვაქვს. ცნობილია, რომ თუ მთავრობა ასუბსიდირებს რომელიმე დარგს, ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ეს დარგი სუბსიდიაზე ყოფნას მიეჩვევა და ვერ განვითარდება. შესაძლოა, ნაწილობრივ ამანაც მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა. ცალსახად შეუშალა ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვამაც. მოსახლეობის ნაწილს ურჩევნია, საქართველოს მიწა საქართველოს მოქალაქის საკუთრება იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული და დიდი სოფლის მეურნეობა გვქონდეს უცხოელების ხელში.

სოფელში მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ ერთ ჰექტარამდე მიწა მოდის. მცირე მიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტიანად გამოყენებას იწვევს. რთულია წარმოების მოცულობის ხარჯზე შედარებით იაფად გაყიდო პროდუქცია და მცირე საოჯახო მეურნეობა საშუალო ან მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა. ამას ემატება ცოდნის ნაკლებობაც. ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შეძლებისდაგვარად გაზრდისკენ თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი მიწაზე შრომით დაიკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებებს. სოფელში მცხოვრები ადამიანებიდან 700 ათასი ითვლება ე.წ. თვითდასაქმებულად, რადგან საკუთარ მიწაზე მუშაობენ და შინაურ ცხოველებს უვლიან. ბიზნესის თვალსაზრისით ისეთ მეურნეობებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომლებიც კომერციულ საქმიანობაზე არიან გადართული. 2,2 ათასი იურიდიული პირი აგრარულ სექტორში - ძალიან ცოტაა.

ამ სექტორში გაცილებით მეტი იურიდიული პირი უნდა იყოს. იმ ადამიანების რაოდენობა, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობა ბიზნესი და შემოსავლის წყაროა, საქართველოში ძალიან ცოტაა.

ვფიქრობთ მცირემიწიანობა უნდა დასრულდეს და ბევრი ხალხი უნდა ცხოვრობდეს სოფელში. შესაძლებელია ისიც, რომ სოფელში მცხოვრები ადამიანი მიწაზე არ მუშაობდეს. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას სჭირდება სხვა დარგების გაცილებით სწრაფად განვითარება, ვიდრე დღეს ვითარდება. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული ქვეყნების სოფლები უფრო მდიდარი და მოვლილია, ვიდრე წინა წლებში. აღსანიშნავია, რომ თუ განათლების პრობლემა გადაიჭრება, სოფელზეც აუცილებლად სასიკეთოდ იმოქმედებს.

შიდა ქართლის რეგიონი ყოველთვის ცნობილი იყო უნიკალური ჯიშების ვენახებით, 90-იან წლებამდე ვენახების ფართობს 900 ჰექტარი ეკავა, ყოველ წლიურად მზადდებოდა 4000 ტონა ყურძენი, ამჟამად ვენახის ფართობები 200 ჰექტრამდე შემცირდა, რაიონში ვენახების გაშენებისათვის არსებობს მიკრო ზონები. ხიდისთავის, ატენის, ქვახვრელის, ბნავისის, მეჯვრისხევის, ქვეშის, ფლავის, ახალუბნის კავკასიონის მთის სამხრეთ ფერდობზე სადაც შეიძლება გაშენდეს 500 ჰექტარი საშამპანურე, ჩინებული და გორული მწვანეს ჯიშის ვენახები, რისთვისაც საჭირო იქნება ინვესტორების მოზიდვა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება ყოველთვის იყო რეგიონის პრიორიტეტული დარგი. 90-იან წლებამდე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობაში და მოსახლეობაში 20-22 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ითვლებოდა. დღეისათვის პირუტყვის სულადობა მთლიანად მოსახლეობის ხელში გადავიდა და შეადგენს 30000. სულ იწრმოება 28 500 ტონა რძე. რძის რეალიზაცია დღეის მდგომარეობით ძალიან გაძნელებულია, რადგან რაიონში არ ფუნქციონირებს რძის გადამამუშავებელი ქარხანა, თუ აშენდება თანამედროვე ტიპის რძის გადამამუშავებელი მინიქარხნები რეგიონის სხვადასხვა სოფლებში წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება. მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო იქნება ჯიშთა შემადგენლობის გაუმჯობესება სახელმწიფო დაეხმარებით. კლიმატურმა ცვლილებებმა შეიძლება პირდაპირი ზემოქმედება იქონიოს პირუტყვის პროდუქტიულობაზე და ასვევ ირიბი (მაგალითად, დაავადებების, პარაზიტების, მავნებლების გავრცელება; და საძოვრების ნაყოფიერების შემცირება). საქართველოში, კავკასიის სხვა ქვეყნების მსგავსად, კლიმატური ცვლილებები უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ბუნებრივ საძოვრებზე. ბუნებრივი ზონების გადაწევის შედეგად, მოსალოდნელია ღირებული ალპური და სუბალპური საძოვრების შემცირება, მაშინ როდესაც ნახევრად უდაბნო და მდელო-სტეპის ფართობი იზრდება. შიდა ქართლის რეგიონი, როგორც ცნობილია მდებარეობს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რის გამოც მხარეებს შორის სიტუაციის დაძაბვით დიდი ზარალი განიცადეს ფერმერებმა და მიწების კერძო მფლობელებმა, რადგან ტირიფონისა და სალთვისის მაგისტრალური სარწყავი არხები სათავეს იღებს ქ. ცხინვალიდან, არხები მორწყვის სეზონზე გადაკეტილია და შეუძლებელია მორწყვის გარეშე ბოსტნეულისა და ხილის მოსავლის მიღება.

სოფლის მეურნეობის შემაფერხებელ ფაქტორებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- აგრარული მიმართულებით განათლების მიღება პრესტიჟულს არ წარმოადგენდა წლების განმავლობაში, რამაც ცოდნის მიღება და საჭირო რაოდენობით სპეციალისტების არსებობა შეზღუდა, რასაც ვერ ვიტყვით იურისტების, ექიმების ან ეკონომისტების შემთხვევაში;
- მსოფლიო ეკონომიკის 95% მომსახურებასა და მრეწველობაზე მოდის, მაგრამ საქართველოში იმედებს მაინც სოფლის მეურნეობაზე ვამყარებთ. ჩვენი ცოდნით დაარსებული ბიზნეს გარემოთი დიდი შანსი გვაქვს ჩვენი უპირატესობის გამოყენებით (კლიმატი, ნიადაგი, მცენარეების ჯიშები და სხვა) მივაღწიოთ სასურველ შედეგებს.
- სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისთვის (ამ მიმართულებით დახარჯული ნებისმიერი თანხა სუბსიდიაა, თუნდაც სარწყავი სისტემების მშენებლობა) შედარებით ნაკლები გადასახადის დაწესება იმ დარგებისათვის, რომლებიც სოფლის მოსახლეობის ნაწილს დაასაქმებენ;
- სოფელში ცხოვრება მეტად არის სუბსიდირებული, ვიდრე ქალაქში ცხოვრება. საჭიროა მეტი ურბანიზაცია.
- უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვამ შეაფერხა დარგში ინვესტიციების, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოსვლა; საჭიროა საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელშეწყობა აღნიშნული მიმართულებებით

ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: აგროწარმოების ინტეგრაცია გადამამუშავებელ საწარმოებთან; აგრარული რისკები. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები; აგრარული ბაზრის დაცვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. 90-იან წლებში სასოფლო სავარგულების მოსახლეობაში განაწილებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის არა განვითარება არამედ დაკნინება. 1 კომლზე მიწის ფართობი შეადგენდა 0,2-1,25-მდე ფართს. მოცემულ ფართზე მოყვანილი მოსავალი აძლევს გლეხს იმის საშუალებას, რომ მოიყვანოს მოსავალი საოჯახო მოხმარებისათვის და არა

კომერციული დანიშნულებისათვის. ამ ტენდენციამ ხელი შეუწყო მცირე საოჯახო მეურნეობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ არა ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციაზე, არამედ არსებობაზე. აგრობიზნესი გამოირჩევა გარემო და კლიმატური პირობების მიმართ მეტად მგრძობიარე დარგად. იგი პირდაპირ კავშირშია კლიმატთან და მისი უმთავრესი რისკი უკავშირდება სტიქიურ მოვლენებს. ბოლო პერიოდში სახელმწიფოს ინიციატივით გადაიდგა ეფექტური ნაბიჯები დაზღვევის კულტურის განსავითარებლად. მნიშვნელოვანია ასევე აგროდაკრედიტების საკითხი, კერძო ბანკების მიდგომა აგრობიზნესისადმი და სახელმწიფოს ინიციატივა თანადაფინანსების საკითხებში.

საქართველოში 2,2 ათასი აგარარულ სექტორზე ორიენტირებული, რეგისტრირებული მეწარმეა, სამაგიეროდ ქვეყანაში ბევრი წვრილი შინამეურნეობაა. წვრილი ფერმერი ვერ ახერხებს ბიზნესად და შემოსავლის წყაროდ აქციოს თავისი ოჯახური მეურნეობა. მართალია, ბოლო წლებში აგრარულ სექტორში სიტუაცია შეიცვალა და გამოცოცხლდა, მაგრამ ეს წვრილ ფერმერებზე ნაკლებად აისახა.

შინამეურნეობას პროდუქცია თავის სარჩენად მოჰყავს და არა - ბიზნესისთვის. ამიტომ კოოპერატივების შექმნა ამ სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალია. თუკი წვრილი ფერმერები თავიანთ დანაწევრებულ მიწებს გააერთიანებენ და ერთ მსხვილ ბიზნესად აქცევენ, უფრო მეტ დოვლათსაც შექმნიან და მოგებასაც უფრო მეტს მიიღებენ. დღეს ფერმერებს მხოლოდ საკუთარი რესურსების იმედი აქვთ, რის გამოც მათ არ სურთ ვინმეს ენდონ და ვინმეზე იყვნენ დამოკიდებულები. იურიდიულ პირად დარეგისტრირებისას იზრდება დამატებითი დატვირთვა და პასუხისმგებლობა. აგროსექტორში საჭიროა იყოს დაბალი გადასახადები და შეღავათიანი ტარიფები უფრო მეტად განვითარებისათვის. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ ფერმერმა თვითონვე მოისურვოს იურიდიულ პირად დარეგისტრირება.[4]

1.3. შიდაქართლის გეოგრაფიული, ბუნებრივი, ეკოლოგიური და ტექნიკურ - ეკონომიკურიგარემო

4 ლელა ჯახაია აგრარული. სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები - https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9997_1.pdf

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. მას საქართველოს ტერიტორიის 9.2% უკავია და თავსუყრის მოსახლეობის 7%ს, შიდა ქართლის რეგიონს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთის, სამხეთ-აღმოსავლეთით - ქვემო-ქართლის, სამხრეთ დასავლეთით - სამცხე-ჯავახეთის, დასავლეთით - იმერეთის, ხოლო ჩრდილო - დასავლეთით – რაჭა-ლეჩხუმ-ქვემოსვანეთის რეგიონები. ჩრდილოეთი საზღვარი კი რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აქვს. რეგიონს ხელსაყრელი სატრანსპორტო - გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, კერძოდ დედაქალაქთან სიახლოვე, საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის განლაგება რეგიონში. რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია: კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად თბილი ჰავითა და ზომიერი ტენიანიანობით, რაც სასურველ პირობებსქ მნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონები, ვერტიკალური ზონალობის ჩათვლით, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით და საკმაოდ მდიდარია ტყეებით, ფლორითა და ფაუნით. 2008 წლის აგვისტოს რუსეთსა ქართველოს შეირაღებული კომპლიკტის შემდეგ კი დაახლოებით 1,400 კმ² ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ. ოკუპაცია უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებზე, კერძოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუღწევადობის, კონფლიქტისპირა ტერიტორიებზე უსაფრთხოების სირთულეებისა და ეკონომიკური აქტივობის უკიდურესი შეზღუდულობის გამო. შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 300,000 კაცს აღემატება, რომელთაგან თითქმის ნახევარი (46 %) გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. დანარჩენი სამი მუნიციპალიტეტი კი მოსახლეობის თითქმის თანაზომად არისგანაწილებული: ხაშურში მოსახლეობის 20 %, ხოლო ქართლს ადაკასპში - 17 % ცხოვრობს. შიდაქართლის რეგიონი უპირატესად სასოფლოა და მისი ურბანიზაციის დონე 40%-საც ვერ აღწევს. შიდა ქართლის მხარე საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. აქ გვხვდება მრავალფეროვანი ნიადაგები, ტყის (უკავია რეგიონის 45%-მდე), წყლის და

სხვა რესურსები. რესურსებით განსაკუთრებით მდიდარია კასპის, ხაშურის და გორის მუნიციპალიტეტები, შედარებით ღარიბია ქარელის მუნიციპალიტეტი. აღსანიშნავია, რეგიონის ტერიტორია ზემრავალფეროვანი სასარგებლოწიაღისეულის არსებობა. რეგიონში მოიპოვება რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, თუთია, თუმცა მათი უმეტესობის შედარებით მცირე მოცულობებისა და საწარმოო პროცესებში შეზღუდული გამოყენების გამო, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა ერთობ მოკრძალებულია. შიდა ქართლის მხარე აღმოსავლეთ საქართველოში მოიცავს შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს. შიდა ქართლის მდინარეთა უმრავლესობა უძველეს დროიდანაა გამოყენებული სარწყავად.მდინარე აღმოსავლეთ ფრონედან მდინარე არაგვამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ გაწოლილია კვერნაქისსერი. მისი სამხრეთი ფერდობის ფლატეებსა და ქარაფებში გამოქვაბულებია. კვერნაქის სერის სამხრეთით, მტკვრის პირას მდებარეობს აშურიანის ველი, რომელსაც უძველესი დროიდან საზამთრო საძოვრად იყენებდნენ. შრომის გარკვეული ორგანიზაციის საფუძველზე შიდა ქართლის ვრცელი დაბლობები და საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ქმნიდნენ ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობას. შიდა ქართლის ბუნებრივმა პირობებმა და მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრეს ის როლი, რომელიც ამ რეგიონმა შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი გადიოდა ამივრკავკასიაზე, კერძოდ, შიდაქ ართლზე. ეს გზა მტკვრის ორივე სანაპიროსმ იუყვებოდა. უპირატესობა ეძლეოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამავალგზას. იგი გაივლიდ ამცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზ ეგადიოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირეაზიიდან მიემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა. შიდა ქართლის ვაკის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს მდ.მტკვრის ხეობა. ხეობას ჩრდილოეთიდან მიუყვება მცირე ქედებისა და სერების ზოლი. აღნიშნული ქედების ჩრდილო დამცერი ფერდობები თანდათანობით გადადის ტირიპონ-მუხრანის ვაკეში აღმოსავლეთ ნაწილში ვაკევიწროვდება და გადადის საამილახვროს და მუხრან-საგურამოს ვაკეებში.

შიდა ქართლის ჩრდილოეთი მთიანი ნაწილი წარმოდგენილი აკავკასიონის მთავარ ქედით.

აქ კავკასიონი შედარებით ნაკლები სიმაღლით ხასიათდება. თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობები დანაწევრებულია მდინარეების-ძამის, ტანასა და თეძამის ხეობებით.

შიდა ქართლი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. ვაკეებზე წარმოდგენილია ივერიის ზომიერად მშრალი სტეპური ლანდშაფტი. ზღ. დ. 800 მეტრიდან იწყება ქვედა მთის ტყის ლანდშაფტის გავრცელების არეალი და დომინანტებს მუხნარი. ზღ. დ. 1200 მეტრიდან ვხვდებით საშუალო მთის ტყის ლანდშაფტს, აქ ძირითადათ წიფელაა გავრცელებული, თუმცა თრიალეთის ქედისა და რეგიონის დასავლეთ, შედარებით ნოტიო რაიონებში წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეც გვხდება. ზღ.დ. 2000-2200 მეტრიდან ვრცელდება მაღალი მთის მდელოს ლანდშაფტი ალპური და სუბალპური მცენარეულობით.

შიდა ქართლის ჰავა არის მშრალი სუბტროპიკული, რომელიც ხასიათდება ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით. მდ. მტკვრის ხეობის გასწვრივ იანვრის ჰაერის საშუალო ტემპერატურა 1,2-1,7°-ია, ივლისის თვისა კი 22,5°-სა ღემატება. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა შედარებითმ ცირეა - 600 მმ, ხოლო მისი მაქსიმუმი (70-100 მმ) მაისი თვეშიმოდის, მინიმუმი კი იანვარში (15-20 მმ) თოვლის საბურველი არამდგრადია. შიდა ქართლის მაღალმთიანეთის (ზ.დ. 1900-2600 მ.) ჰავა ზომიერად ნოტიოა, ზამთარი ცივია დამ ოკლე, ზაფხული კი გრილი. იანვრის საშუალო ტემპერატურა - 6-8°- ია, ივლისისა კი 10-16°-ის ფარგლებშია. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შეიძლება ზოგჯერ – 30°-მდე დაეცეს. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი, 1000- 1100 მმ-ისფარგლებშია, შეფარდებითი სინოტივე 55-60%-ია. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 4-5 თვე გრძელდება. სავეგეტაციოპ ერიოდის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საკმაოდ მაღალია და 3000-3500°-საღწევს. 2.7 ჰიდროგრაფია. შიდა ქართლის ძირითად ჰიდროგრაფიულარტერიას მდ. მტკვარი და მისი შენაკადები - ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი წარმოადგენენ, მარჯვენა შენაკადებია - ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა, ნიჩბისი. ისინი წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ და ხასიათდებიან ზომიერი

მდინარეული ჩამონადენით (30-40ლ/წ). მდინარეთა ნაწილი გამოყენებულია როგორც სარწყავად ისე ენერგეტიკული თვალსაზრისით. შიდაქ ართლის ტბებიდან აღსანიშნავია ყელის ვულკანურზეგანზე მდებარე, მყინვარული წარმოშობის ყელისტბა (ზ.დ. 2914 მ.), კარსტული გენეზისის ერწოს ტბა (ზ.დ. 1710მ.), მდ. ძამას ხეობაში მდებარეობს მეწყრული წარმოშობის ბატეთის ტბა, ქ. დუშეთის სამხრეთით ბაზალეთის ტბაა, რომლის მაქსიმალური სიღრმე 7 მ-ია, ზედაპირის ფართობი 2 კმ²-საღემატება, კვერნაქის ქედის ჩრდილო კალთაზე (ზ.დ. 856 მ-ზე) მცირე სიღრმის (1,5 მ.) ნადარბაზევის ტბა მდებარეობს - 1,2 კმ² ზედაპირი სფართობით. 24 დაბა ჟინვალთან აგებულია ერთ-ერთი მნიშველოვანი ჰიდროკომპლექსი – ჟინვალის წყალსაცავი, რომლის წყალი ნაწილობრივ ხმარდება თბილისისა და რყუსთავის წყალმომარაგებას და თბილისის წყალსაცავის შევსებას. შიდაქართლი მდიდარია სამკურნალო-მინერალური წყლებით. ამ მხრივ გამორჩეულია მდ. დიდი ლიახვის აუზისა და საგურამო-მუხრანის ვაკის მაღალწნევიან იარტეზიული ჭები. ეკოლოგიური მდგომარეობის და ანთროპოგენური ტრანსფორმაციის თავისებურებათა რეკომენდაციების შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართველ და უცხოელმ ეცნიერთა მიერ. პრობლემისსირთულისგამო, ისინი მაინც ვერ მოიცავენ საკითხთა სრულ სპექტრს. ლანდშაფტთა ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრების დადგენა შესაძლებელია სტაციონალურ გამოკვლევათა პირობებში, ან კიდევ, დეტალური საველე სამუშაოების ჩატარების და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, სადაც თავსმოიყრის ყოვლის მომცველი ინფორმაცია. საკვლევი რეგიონის ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენურ სახეცვლილებებს საკმაოდ დიდი ისტორიული ფესვები გააჩნია, მაგრამ ძირეული ტრანსფორმაცია მაინც XX საუკუნეზემ ოდის. შიდა ქართლის რეგიონში შუა და ფეოდალურ ხანაში აშენდა რამდენიმე მსხვილი საირიგაციო სისტემა, მათ შორის ტირიფონის, რომლის სიგრძეა 42 კმ. იგი გასდევს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირს, გადაკვეთს პატარა ლიახვსა და ჭარბულის ხეობებს და აღწევს სოფელ პატარა ხურვალეთამდე, არხი რწყავს 30 ათასზე მეტ ჰექტარს გარდა აღნიშნულისა აგრეთვე ტაშისკარის, მუხრანისა და სკრა-ქარელის სარწყავისისტემები. ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედება ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო

საქმიანობით, სატყეო და საქალაქო მეურნეობით, წიაღისეულის მოპოვებით და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი რეგიონის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად სახეშეცვლილ ანძ ლიერ გარდაქმნილ ლანდშაფტებს უკავიათ.

მიწების პრივატიზაციის პროცესმა ეკოლოგიური სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა. ლანდშაფტთა ფუნქციონირება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით არისგანპირობებული. ბუნებრივ და სახეცვლილ ლანდშაფტებზეზე მოქმედება მრავალგვარია, კერძოდ: დროის გარკვეული მომენტისთვის, კომპეტენტური, ტერიტორიული მომცველობის და სხვა. ბუნებრივია მცირეხანგრძლივობის ან ლოკალური ზემოქმედება ნაკლებ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს, ვიდრე გლობალური. ბუნებრივ ლანდშაფტებზე ზემოქმედება შეიძლება იყოს ინტენსიური, ზომიერი, ექსტენსიური და სხვა.

საკვლევ რეგიონში ინტენსიურია ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებულ ლანდშაფტებში. ცალკეულ შემთხვევაში ანთროპოგენური ზემოქმედება (რწყვა, მოსავლის აღება დასხვ.) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მიზანმიმართული და გეგმაზომიერი. ლანდშაფტური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ბუნებრივი ლანდშაფტების შემადგენელი ცალკეული კომპონენტები და მთლიანი კომპლექსები სხვადასხვა ხარისხით შეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. თვითონ სარწყავი სისტემებიც რელიეფის ანთროპოგენურ იფორმაა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია ემუქრება არამარტო მის ბუნებას, არამედ მოსახლეობასაც. ირღვევა არამარტო ადამიანის კონსტიტუციურ იუფლება – იცხოვროს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. ამჟამად არსებულ წყალშემკრებნაგებობებს არშეუძლია სწრაფად მზარდი ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დიდია ავტოტრანსპორტის როლი გარემოს დაბინძურებაში. შიდა ქართლის რეგიონზე რამოდენიმე სტრატეგიული ავტოსტრადაა: თბილისი - ხაშური - ბორჯომი, გორი - ხაშური - ქუთაისი, გორი- ცხინვალი - როკი – ჩრდილოეთ კავკასია. ყველაფერი ეს გარკვეულ გავლენას ახდენს გეო ეკოლოგიურ გარემოზე. გზების გასწვრივ გამუდმებით წარმოიქმნება მეწყრები, ღვარცოფული ნაკადები. ტრანსპორტის შემდეგ გარემოს გამაჭუჭყიანებლებს შორის შეიძლება

დავასახელოთ მრეწველობა. მართალია, წარსულში, როდესაც მრეწველობა მთელი დატვირთვით მუშაობდა, სამრეწველო გაჭუჭყიანების წილი ჯამურ გაჭუჭყიანებაში შეადგენდა 30%-ს, ახლა, ამ დარგის კრიზისული მდგომარეობის გამო იგი შეადგენს 5%-ს. საქართველოს ტყეები გამოირჩევა დიდი სახეობრივი მრავალფეროვნებით (დაახლოებით 400 სახეობა), და იმითაც,რომ დასავლეთ ევროპის ტყეებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირდ ხელოვნურად არიან გაშენებული, ისინი პირველადები არიან, ეს კი განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. ტყის საზღვრებში მრავალი საუკუნის მანძილზე წარმოიქმნება ერთიანი ეკოსისტემები, მაგრამ ტყის გაქრობასთან ერთად, მათი გაქრობაც გარდაუვალია. განადგურებულის აღდგენა კი – შეუძლებელი იქნება. საქართველოს ბაღების 40% შიდა ქართლის წილადმ ოდის. თუმცა 1990-91 წლებში ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესებისა და საბაღეკულტურების განადგურების გამო, რეგიონის ბაღების 30%-ზზე მეტი გაიჩეხა და მათ ადგილზე დაითესა ხორბალი. ამჟამად მიმდინარეობს ბაღების აღდგენა.

ტყის არამდგრადი მეთოდებით განხორციელებული ჭრები ხშირად უკანონო ჭრების სახეს ატარებს. ამასთან, არამდგრადი ჭრები ხშირად კანონიერი ჭრის სახითაც ხორციელდება მაგალითად მაშინ, როდესაც ხეების ჭრაში დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება მდგრადი სატყეო მეურნეობის პრინციპები და საკუთრივ ტყის ეკოლოგიური ფასეულობა. არასრულყოფილად დაგეგმილი და განხორციელებული ხე - ტყის დამზადების პროცესი, რომელსაც თან ახლავს ხე - ტყის დამზადების ტექნიკურად და ეკოლოგიურად მიუღებელი ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე იწვევს მოუჭრელი ზემდგომი ხეების, ქვეტყის, ბალახოვანი საფარისა და ნიადაგის დაზიანებას. დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყეებში ძოვების ინტენსივობას, უმეტეს შემთხვევებში, გადაჭარბებული ხასიათი გააჩნია, რაც ნიშვნელოვნად აღემატება ტყეების ბუნებრივპ ოტენციალს. გადაჭარბებული ძოვება იწვევს ბალახოვანი საფარის, ქვეტყისა და ხე-მცენარეების აღმონაცენ-მოზარდის დაზიანებას. თავისმხრივ, ბალახოვანი საფარის, ქვეტყისა და ხე-მცენარეების აღმონაცენ-მოზარდის დაზიანება ხელსუწყობს ნიადაგის ეროზიასა და მეწყრულ მოვლენებს, აგრეთვე ტყის ჰაბიტატების კარგვას. გადაჭარბებული ძოვების ხელშემწყობ ფაქტორებს განეკუთვნება ალტერნატიული შემოსავლების წყაროების სიმცირე და

შესაბამისად, სიღარიბის მაღალი დონე სოფლის მოსახლეობაში. ქართლის რეგიონი მგძნობიარეა კლიმატის ცვლილების მიმართ. შიდა ქართლში სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემა არის ქარების მაღალი საშუალო წლიური სიჩქარე და მაღალი ტემპერატურა.

ნაწილობრივ დაფარულ ტერიტორიაზე არსებული მცენარეულობის ინვენტარიზაციამ გამოავლინა ველური ფლორის რამდენიმე სახეობა, რომელთა შემცირება ან გამოჩენა მნიშვნელოვნად ადასტურებს ტერიტორიაზე სიმშრალის მატებას. ასეთისახეობები, შეიძლება იყვნენ გამოყენებული ბიომრავალფეროვნებაზე, რომლის ნაწილია აგრობიომრავალფეროვნება, კლიმატისცვლილების გავლენის დასაკვირვებლად. ქარელის მუნიციპალიტეტის ადგილობრი ვხელისუფლებასა და მოსახლეობასთან ინფორმაციით აქ მნიშვნელოვნად არის შემცირებული პროდუქტიულობა წარსულში სოფლის მეურნეობის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა მეხილეობა და მებოსტნეობა. მათ შორისაა ქარელის მუნიციპალიტეტის წამყვანი კულტურები, როგორიცა ამსხალი, ატამი, ვაშლი, განსაკუთრებით მისი ტრადიციული ჯიშები. აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა გააქტიურება. მნიშვნელოვნად შემცირდა პომიდვრის მოსავალი, რომელიც ვეღარ ასწრებს დამწიფებას შემოდგომობით ადრეული აციების გამო. ბოლოდროს გახშირებული ძლიერი გვალვებისგამო, და სეტყვის გამო, გარკვეულ ტერიტორიებზე თითქმის მთლიანად ნადგურდება ბოსტნეულის მოსავალი. შიდაქართლს აქვს ძალიან კარგი რესურსი ხილისწარმოების, ასევეხილისბაღებისგანახლების, სანერგე მეურნეობების განვითარების კუთხით. აუცილებელია თანამედროვე მაღალმარჟიანი ჯიშების ხილის მოყვანა. ძალიან პერსპექტიულია ბოსტნეულის წარმოებაში ახალიტექნოლოგიების დანერგვა, გადამამუშავებელი წარმოების განვითარება, მესაქონლეობის განვითარება, თევზისწარმოების გაზრდა.

შიდა ქართლის რეგიონში ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია: ხორბლის ფქვილი, საკონსერვო ნაწარმი, ვაშლის კონცენტრატი, ალკოჰოლური სასმელები, სპირტი, ხილი და ბოსტნეული. გორის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით მომუშავე 34 საწარმოა წარმოდგენილი, სადაც დასაქმებულია 800-ზემეტი ადამიანი. საწარმოთაგან ზოგიერთი დროებით გაჩერებულია ან სეზონურად

მუშაობს. უმთავრეს პრობლემას დანადგარების სიძველე და ინვესტიციების სიმწირე წარმოადგენს.

თავი II. ინფორმაციის და PR-ის მნიშვნელობა აგრობიზნესის განვითარებისათვის

2.1.საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფ ორმირებულობის ამაღლება სოფლის მეურნეობაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა,ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის ძირითადი ვალდებულებაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ეს ტრადიციები ქვეყნის ისტორიის, მენტალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ბოლო წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა და კერძო სექტორის, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, შეინიშნება საკმაოდ პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოების და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით. დღეისათვის სხვადასხვა ღონისძიებების გატარების შედეგად, მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები შეინიშნება აგრო სასურსათო სექტორში.

ჩვენი მეწარმეები, ფერმერები, გლეხები შეძლებენ უპასუხონ იმ ახალ გამოწვევებს,რომლის წინაშეც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ დადგა ჩვენი ქვეყანა, შეძლებენ აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზარზე დაიმკვიდრონ ღირეული ადგილი.

მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვეტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში, რადგან ის ჩვეულებრი ვასოცირდება ეკონომიკურ ზრდასთან. მიმღები ქვეყნებისთვის ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს

მწარმოებლურობის ზრდას, ახალი ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების გადამზადებას, საერთაშორისო პროცესებში ჩართულობას და სხვა. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას სოფლის მეურნეობის დარგში. ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური განვითარება, საგადასახადო განაკვეთების, ლიცენზიებისა და ნებართვების შემცირებული რაოდენობა, გეოგრაფიული მდებარეობა, კვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა ფაქტორები ხელს უწყობს მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2018-2020 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2018					2019*					2020*
	I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	სულ	I
სულ	**323.5**	**403.6**	**367.0**	**171.0**	**1 265.2**	**283.6**	**209.8**	**427.4**	**347.0**	**1 267.7**	**165.4**
მათ შორის:											
საფინანსო სექტორი	110.2	62.8	16.8	80.9	**270.7**	48.3	-26.5	101.7	138.1	**261.8**	94.9
უძრავი ქონება	-6.2	63.0	48.7	26.0	**131.4**	-126.6	22.9	29.8	41.6	**-32.4**	34.0
სასტუმროები და რესტორნები	25.3	-8.2	45.0	15.7	**77.8**	66.4	29.0	45.6	16.4	**157.5**	15.8
კავშირგაბმულობა	-63.3	10.6	6.9	5.5	**-40.3**	11.1	-3.1	9.8	27.7	**45.4**	12.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	21.2	16.6	13.2	11.3	**62.2**	8.5	15.3	17.5	27.3	**68.7**	10.4
მშენებლობა	102.5	46.2	26.3	-2.0	**173.0**	7.7	16.8	44.4	49.6	**118.5**	7.7
ტრანსპორტი	63.8	64.0	64.5	11.0	**203.3**	28.3	26.6	11.2	5.4	**71.5**	6.4
დამამუშავებელი მრეწველობა	41.0	19.5	57.3	22.2	**140.0**	19.0	36.3	50.4	-3.5	**102.2**	4.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	8.3	1.5	0.9	1.7	**12.4**	0.8	-0.8	11.2	2.6	**13.8**	3.5
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-5.0	0.8	-0.9	1.7	**-3.3**	3.1	3.0	5.4	2.1	**13.7**	-1.0
ენერგეტიკა	-16.9	102.0	39.8	-4.1	**120.8**	48.8	63.9	39.7	41.4	**193.9**	-26.5
დანარჩენი სექტორები	42.6	25.0	48.5	1.1	**117.2**	168.1	26.2	60.6	-1.7	**253.1**	2.9

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის დარგში ახალი ტექნოლოგიების შესახებ დროულად მიწოდებული ინფორმაცია დადებით ზეგავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის კონკურენუნარიანობაზე. თითოეული ფერმერის მიზანია, აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რაზეც ბაზარზე მოთხოვნაა და მიიღოს მეტი მოგება. საბაზრო ეკონომიკის

პირობებში, ქართული აგრარული სექტორისათვის აუცილებელია თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხების ცოდნა,რასაც ხელს უწყობს სასოფლო სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრების არსებობა. დადებითი შედეგების მიღებისათვის საჭიროა მეტი მოცულობის უცხოური ინვესტიციების განხორციელება. ინვესტიციების განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოგებისმიღება, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების დაბანდებისას ხდება წარმოების ფაქტორების შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან.

საინვესტიციო გარემოარის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში.

შიდა ქართლის რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ხორციელდება რეგიონის დონეზე. დარგობრივი ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი დანიშნულებაა ეკონომიკის იმ პრიორიტეტული დარგების შერჩევა და ინვესტიციური მხარდაჭერა, რომელთა განვითარებაც უზრუნველყოფს ქვეყნის წინსვლით ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში დიდია საინვესტიციო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა. მასზე მნიშნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტიციური პოტენციალის და მისი შესაბამისი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, რომელიც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას და ინვესტიციური პოტენციალის აღდგენას. ეს ყველაფერი კი მიიღწევა თანამედროვე ტიპის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებით.

საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისათვის სოფლის მეურნეობაში დასახულია შემდეგი ამოცანები:

--- სოფლის მეურნეობის საინვესტიციო პოტენციალის კვლევა/შესწავლა; (ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა და ათვისება; არსებული პოტენციალის რეალიზაციის ფინანსურ ეკონომიკური დასაბუთების უზრუნველყოფა; ბიზნეს პროექტების შეთავაზება პოტენციური ინვესტორებისათვის)

--- საორიენტაციო/ტიპიური ბიზნესგეგმების შემუშავება სოფლის მეურნეობის დარგში; (ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა და ათვისება; თანამშრომლობის გაღრმავება უცხოელ ინვესტორებთან, სპეციალიზირებულ ფონდებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან; ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა)

--- საინფორმაციო-საინვესტიციო მედია პაკეტების შემუშავება და გამოცემა (ბუკლეტები, ფლაერები, ვიდეო კლიპები, პრეზენტაციები საინვესტიციო ობიქტების შესახებ);ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მეწარმე სუბიექტებს შორის ახალი ბიზნეს კავშირების დამყარება პერსპექტიული თანამშრომლობის განვითარების მზინით

--- ბიზნეს ფორუმებში, გამოფენებში, საინვესტიციო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ)

--- სპეციალიზირებული საინფორმაციო ვებ-გვერდების მომზადება; მჭიდრო კავშირი ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან, ასევე სხვადასხვა ფონდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

თანამედროვე ეტაპზე ფერმერების სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: 1. ბაზრის ხელმისაწვდომობა; 2. საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობა; 3. სურსათის უვნებლობის სისტემის რეფორმის გავლენა მცირე ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე.

საქართველოში 642 ათასი მეურნეობაა, რომლის 98%-ს მცირე საოჯახო მეურნეობა წარმოადგენს. ფერმერთა დეკლარაციის მიხედვით, საინვესტიციო რესურსების მოზიდვა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. სახელმწიფო დახმარების პროგრამები მატერიალურ საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს ფერმერებზე.

სახელმწიფო საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრები გრანტებსა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ საჭიროა იძლეოდნენ კვალიფიციურ ინფორმაციას. საგრანტო სქემები ბიზნესის განვითარებისთვის საკმარისი არ არის. ფერმერების მხრიდან ბაზრის და საინვესტიციო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობისათვის ფერმერების გამსხვილების პროცესს ხელი უნდა შეეწყოს სპეციალური პროგრამით, საწყის ეტაპზე მათზე ინფორმციის ფლობით. ამასთან ერთად, ბიოაგროწარმოების მხარდაჭერისთვის ცალკე მიმართულების არსებობა აუცილებელია, რადგან ბიოწარმოებას ევროკავშირის ბაზარზე შესვლის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით მიღებული შეღავათების გამოყენების დიდი პოტენციალი გააჩნია.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო სექტორი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად სახელდება. ქვეყნის მთავრობა, საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებისა და სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობს როგორც საერთაშორისო, ისე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო სექტორში ინვესტიციების შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ საჭიროებს ზრდას

2.2 მონაცემთა შეგროვების და დამუშავების ინფორმაციული სისტემის შექმნა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება.

ინფორმაცია ყოველთვის თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის ცხოვრებაში. საჭირო ინფორმაციის შეგროვება და მათი სისტემატიზაცია, უხსოვარი დროიდან ეხმარებოდა ადამიანს თავის გადარჩენაში. ეს იყო საჭირო ხელსაწყოების დამზადების, სხვადასხვა კულტურების მოყვანის თუ ალტერნატიული ენერგიის გამოყენებისათვის.

აგრარულ სფეროში განსაკუთრებით საგრძნობია ადექვატური ინფორმაციის და ცოდნის რეალიზაციის არ არსებობა. სოფლის მეუნეობა, საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაშიადა, პირველ რიგში, უმთავრესი პრობლემა განათლებაა და ამასთან ერთად ზოგადი, საჭირო ინფორმაციის სიმცირე და მისი

არასათანადო მიწოდება. ამის გარეშე კი ქართული აგრობიზნესი ვერ იქნება დღეს მაღალი კონკურენციის არსებობის პირობებში კონკურენტუნარიანი.კონკურენცია, რომ დიდია ეს ადვილად შესამჩნევია თუ გავაანალიზებთ ქართული პროდუქციის წილს ბაზარზე. ქართული აგრობიზნესის განვითარების გარეშე, საჭირო ინფორმაციის და ცონის მიწოდების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას კონკურენტუნარიანი, ძლიერი ქართული სოფლის მეურნება, რომელიც ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძველია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის განსხვავება დიდია.ყოველივეს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს.ინფორმაცია სოფლის მეურენობის შესახებ ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს. შესაბამისად, ისი მცოდნაზეა მიბმული, რომელიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მეურნემ კონკრეტულ შეკითხვაზე, კონკრეტული პასუხი მიიღოს. რათქმა უნდა, არსებობს პროფესიული სახელმძღვანელოები, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს მისცეს სისტემური ცოდნა და შეუქმნას მას ერთიანი წარმოდგენა დარგის შესახებ. დამწყებ ფერმერს თუ მოქმედ მეურნეს კი სურს და ბუნებრივია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სწრაფად და სარწმუნო წყაროდან მიიღოს მისთვის აუცილებელი, კონკრეტული ინფორმაციათვის იმ საქმიანობის შესახებ, თავისი ინტერესიდან გამომდინარე.

დღეს ქვეყანაში მიმდინარე უპრეცედენტო აგრარული პროგრამები უკვე მოითხოვენ მნიშვნელოვან, სპეციალურ ინფორმაციულ უზრუნველყოფას და მის მიმართ მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. წლების განმავლობაში, მიზან მიმართულად განადგურებული სოფლის მეურნეობის დარგში არსებული სიცარიელის ამოვსება ერთიანად შეუძლებელია. საინფორმაციო სივრცის გარეშე აგარარული რეფორმის საშუალოდ გრძელვადიანი დადებითი შედეგის მიღება შეუძლებელია. კვალიფიციური და დღევანდელ რეალობაზე მორგებული საინფორმაციო სივრცე აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ყოველივე კონკრეტულ ადგილზე გააძლიერებს მოთხოვნებს, გლეხური მეურნეობის ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნის მიმართულებით.

დღეისათვის სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. რომლის დასტურიცაა, ის რომ შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითიცენტრი, რომლის შექმნის საფუძველიიყო „ქართუჯგუფის“ მიერ წილკნის, ახალქალაქის და ჯიღაურას ვაზისა და ხეხილის სადემონსტრაციო მეურნეობის და განვითარება. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი თავად აშენებს სადემონსტრაციო ნაკვეთებს და ლაბორატორიებს. სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები უფასოდ ატარებენ ტრენინგებს, აცნობენ ახალ ტექნოლოგიებს, კვლევების შედეგებს და ახალ მიდგომებს. მხოლოდ სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების აქტიურობა საკმარისი არაა. საჭიროა ბიზნეს სექტორიც აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულპროცესში.

არ არსებობს ერთიანი აგრარული საინფორმაციო პოლიტიკა. პრესის, რადიოს და ტელევიზიის მიმართულებით არსებული ინფორმაციები საკმარისი არაა. სხვა საკითხებთან შედარებით ნაკლები დრო ეთმობა აღნიშნული საკითხების შესახებ პრობლემების და წარმატებების შესახებ ინფორმაციის გადმოცემას. ხშირად დარგში მიმდინარე დადებით შედეგებზე საუბარი არ სურთ იმის გამო, რომ ამას პოლიტიკურ დივიდენდად განიხილავენ. ხშირად აღნიშნულ დარგში მიმდინარე პროცესებზე საუბრობენ არაკომპეტენტური პირები და საკუთარი ანალიზის შედეგად აკეთებენ დასკვნებს. დღეისათვის პრობლემას წარმოადგენს კონკრეტული მიმართულებით ჟურნალისტების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების საჭირო ცოდნის დაბალი დონე. აუცილებელია არსებობდეს ერთიანი აგრარული საინფორმაციო პოლიტიკა და პროფესიონალი კადრებით ჩავანაცვლოთ დღეს არსებული კადრების უმრავლესობა. ქართველი აგრომეწარმეები დღეს არ იყენებენ პიარს, როგორც უპირატესობისა და წარმატების სტრატეგიას და მისი საჭიროება ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული ფერმერებს. ფერმერები მრავალი მიზეზის გამო, არსებული პიარკამპანიების მომსახურეობას არ იყენებენ, მოთხოვნა აშკარად არსებობს და ის აშკარად იზრდება. დღეისათვის ბევრი მეწარმე ხვდება, რომ სწორად გააზრებული პიარის გარეშე ბიზნესისგანვითარება შეუძებელია. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებულად იგრძნობა აქტიურობა მეღვინეობაში დასაქმებული მეწარმეების მხრიდან. სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო რესურსების მოზიდვა მნიშვნელოვან

პრობლემად რჩება. ფერმერების აზრით, სახელმწიფო და დახმარების პროგრამები მათრეალურ საჭიროებებზე უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული.სახელმწიფო საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრები გრანტებსა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ უნდა იძლეოდნენ კვალიფიციურ ინფორმაციას.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) მცირე ზომის ფერმერთა საჭიროებებისა და ინფორმირებულობის კვლევა ჩაატარა. გამოიკითხა 500 ფერმერი და აღმონდა, რომ შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ გამოკითხულთა 71 %-მა არაფერი იცის. ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ კი ინფორმაციას 48 %-იარფლობს.

2018 წელს, საქართველოს ყველა რეგიონში საკონსულტაციო, ფოკუს ჯგუფის ტიპის 30-ზე მეტი შეხვედრა ჩატარდა. საკონსულტაციო შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები. დამატებით სამაგიდო კვლევის ფორმით, შესწავლილი ქნა მეორადი მონაცემები და საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიშები. შედეგად, მომზადდა სოფლის განვითარების რეგიონული პროფილები რეგიონების-მათ შორის შიდა ქართლის. ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით 40-ზე მეტი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების შესწავლის შედეგად გამოვლინდა 1,050 სტატისტიკური მონაცემი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ქნას სოფლისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებების ანალიზისთვის. სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით სოფლის მეურნეობის საჭიროებების ანალიზი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანს. საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების და დამუშავების ინფორმაციული სისტემის შექმნისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდებისათვის. საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან შემუშავებული სტრატეგიისხედვის, მიზნების და ამოცანების შესახებ შენიშვნების და რეკომენდაციების მიღების მიზნით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ატარებს საკონსულტაციო შეხვედრებს რეგიონების, მუნიციპალიტეტების, მეცნიერებათა

აკადემიის, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე დაინტერესებული საზოგადოება ეცნობა სტრატეგიის მიზნებს, ამოცანებს და განიხილავს აუდიტორიის მოსაზრებებს შემდგომში გათვალისწინების მიზნით. მნიშვნელოვანია მეორადი მონაცემების ანალიზი, სოციოლოგიური გამოკითხვა და დარგის წარმოადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ. ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინაციის განმტკიცება.

სოფლის მეურნეობაში ბაზრისკვლევის დროს მომხმარებლებისა და სამიზნე აუდიტორიის შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესში ჩნდება. წარმოებული პროდუქტის ეფექტურობა. აღნიშნულ პროცესში იკვეთება ინფორმაციის წყაროები, სადაც მომხმარებლები ეძებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.თუ მომხმარებელს სურს კონკრეტული პროდუქციის შეძენა, რა ახდენს გავლენას მათ გადაწყვეტილებებზე პროდუქციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის. ტარდება პირველადი და მეორადი კვლევა. პირველადი კვლევა წარმოადგენს პირველად ინფორმაციას ბაზარზე და მის მომხმარებლებზე. ამისათვის იყენებენ ფოკუს ჯგუფებს, ონლაინ გამოკითხვებს, სატელეფონო ინტერვიუებს. პირველადი გამოკვლევა საჭიროა ბაზრის სეგმენტისგან საზღვრისთვის და პოტენციური მომხმარებლის დადგენისათვის. მეორადი კვლევის მიზანია წინა პერიოდში გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი. რომლის მეშვეობით შესაძლებელია კონკურენტების იდენტიფიცირების მოხდენა, კრიტერიუმების და სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა. აგრობიზნესი ვერ მიაღწევს წარმატებას, მისი მომხმარებლების, პროდუქტების, მომსახურების და ბაზრის კვლევის გარეშე. ამ მონაცემთა შეგროვება ხდება რაოდენობრივიდ ათვისებრივი სახით.

რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად იყენებენ საკუთარ ვებგვერდს. Google Analytics-ის საშუალებით განსაზღვრება მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, (საიდან შემოდიან მომხმარებლები ვებგვერდზე, რამდენი ხნით და რომელ გვერდებს ათვალიერებენ ხშირად. თვისებრივი მეთოდების დახმარებით იხვეწება რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელთა მეშვეობით აგრო ბიზნესის წარმომადგენლები განსაზღვრავენ პრობლემებს. გამოყენება ხდება ინტერვიუს მეთოდებისაც, რომელიც ნათელს ფენს არსებულ სიტუაციას.

ბაზრის კვლევის ჩატარებისას შეიძლება დაშვებულ იქნას შეცდომები, თუ გამოყენებული იქნება მხოლოდ მეორადი კვლევები ან მხოლოდ ინტერნეტ-რესურსები, რომლის დროსაც გამოყენებულია ყველასთვის ხელმისაწვდომი და არასრულყოფილი ინფორმაცია. სიღრმისეული კვლევისათვის ინტერნეტ რესურსებთან ერთად საჭიროა ბიბლიოთეკის, სამეცნიერო ჟურნალების გამოყენებაც. შეცდომაა ასევე მხოლოდ ნაცნობი ადამიანების გამოკითხვა. ზუსტი ინფორმაციისმის აღებად საჭიროა რეალურ მომხმარებლებთან გასაუბრება და მათი საჭიროებების, სურვილების და მოლოდინების განსაზღვრა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არ არსებობს ფერმერთა ინტერესების წარმოდგენის სტრუქტურა, რითაც სუსტდება ფერმერთა შესაძლებლობა თავიანთი პრიორიტეტების დაცვის თვალსაზრისით. სასოფლო - სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლები კი (50-მდე კერძო მომსახურების ცენტრი შეიქმნა ათასწლეულის განვითარების ფონდისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ) ეროვნულ ასოციაციაში არიან გაერთიანებული. აუცილებელია მწარმოებელი ორგანიზაციების განვითარება, იმისათვის რომ არ გახდნენ ერთჯერადი კაპიტალდაბანდებისთვის შექმნილი ერთებულები და ჩამოყალიბდნენ დინამიურ ჯგუფებად. ისინი ხელს შეუწყობენ რესურსების ნაკლებობის და ინვესტიციების სიმწირის დაძლევას და განახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას ტრენინგზე, კონსულტაციებზე, სწავლებაზე და ძირითად მომსახურებაზე, ვეტერინარული, ზოოტექნიკური მომსახურების ჩათვლით. საქართველოში არსებული საჯარო ინსტიტუტები დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობის სფეროს კვლევებით და სწავლებით. საქართველოში სტუდენტთა მცირე ნაწილს აინტერესებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კვლევები. ადგილობრივი ორგანოები აქტიურად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას (ევროკავშირი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტო, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, აშშ განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტები, შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა, მოქალაქეთა ქსელი საგარეო ურთიერთობისთვის - საქართველო, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, გაეროს

განვითარების პროგრამა და სხვ.) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (ACA, ABCO საქართველო, საქართველოს საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტი, კავკასიის გენეტიკა და სხვ.) მრავალი ტრენინგი აქვთ ჩატარებული. ტრენინგის თემატიკა ძირითადად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: პირველადი წარმოების ტექნიკა; სოფლის მეურნეობის მენეჯერები; მომსახურების მიმწოდებლები; რძის წარმოება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი; ვეტერინარია; მცენარეთა დაცვა; სურსათის უვნებლობა და სხვა.

2.3 საფინანსო-სადაზვევო ურთიერთობები აგროსფეროში და ბაზრის ანალიზი

აგრო დაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერებიდა მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ ფერმერების აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით. სოფლის მეურნეობაში აგრო დაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის ძალზედ აქტუალურია და ისინიკარგად უნდა ერკვეოდნენ აგროდაზღვევის პროდუქტებში. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ისეთ რისკებზე, როგორიცაა: წარმოების რისკები; ბუნებრივი რესურსების რისკები; ფინანსური რისკები; მარკეტინგის და ფასის რისკები. წარმოების რისკებთან დაკავშირებული საფრთხეებია: არახელსაყრელი კლიმატური პირობები: გვალვა, ჭარბი ნალექი,წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვა, სეტყვა, მწველი მზე, თოვლი;ხანძარი. ბუნებრივი რესურსების რისკებია:ნიადაგის არახელსაყრელი პირობები - სიმშრალე, ზედა ქანებისეროზია და არანოყიერი ნიადაგი; წყლის ხარისხის გაუარესება - წყლის დაბინძურება; სარწყავი წყლის ნაკლებობა.არაზიტები ან დაავადებები; აგროდაზღვევის პროდუქტებია: წარმოების ხარჯების დაზღვევა. იგი აზღვევს ფინანსური რესურსებისოდენობას, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსავლის მთელი ციკლისათვის (თესვა, მოვლა, მოსავლის აღება); მოსავლის დაზღვევა. იგი აზღვევს სავარაუდოდ მისაღები მოსავლისოდენობას. მოსავლის დაზღვევის მთავარი ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- შემოსავლის სტაბილიზაცია, რაც აძლევს დაზღვეულ ფერმერს შესაძლებლობას, აინაზღაუროს ფინანსური დანაკარგი. დაზღვევა სთავაზობს ფერმერს ფინანსურ

სარგებელსა და ეხმარება მას მძიმე წლის შემდეგ სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებაში;

- მოსავლის ზარალით გამოწვეული შოკი;
- ფერმერის მიერ გაწეული საწარმოო ხარჯების ანაზღაურება, რაც დაზღვეულ ფერმერს საშუალებას აძლევს დაიბრუნოს თუნდაც ის თანხა, რაც მან დახარჯა.
- კრედიტის შემთხვევაში, ანაზღაურება გამიზნულია კრედიტის ჯერ გადაუხდელი ნაწილის დასაფარად ისე, რომ ფერმერს ეძლევა საშუალება ცუდ აგრო წელიწადშიც კი დაფაროს კრედიტი და შეინარჩუნოს დადებითი საკრედიტო ისტორია;
- უმჯობესდება ფერმერული რისკების მართვა.
- მოსავლის დაზღვევა წარმოადგენს მცირე ჯგუფის მიერ მიღებული ზარალის ხარჯების გადანაწილებას მრავალთა შორის.

მსოფლიო ბაზარზე დღითი-დღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, რომლის წარმოების საშუალებასაც საქართველოს ბუნებრივ კლიმატური პირობები იძლევა. საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა, საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს აგრარული სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობას ქვეყანაში. საქართველოს აგრარულ სექტორს, სწორი სახელმწიფო პოლიტიკით შეუძლია მნიშვნელოვნად განვითარდეს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით.

ქართულმა პროდუქციამპოპულარობაჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, საზღვარგარეთ უნდა მოიპოვოს. საქართველომ აგრარული პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით შემდეგ მიზნებს უნდა მიაღწიოს:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას ეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურს ხდის მათ შემოსავლებს.

აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსოინსტიტუტების ინტერესს ზრდის. ფერმერისათვის ხელმისაწვდომი ხდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას უწყობს ხელს.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად უამრავი ფერმერი, რომელთათვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გამო მთელი წლის სარჩო - საბადებელს კარგავს. მხოლოდ 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიის (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი, წვიმა და ა.შ.) შედეგად მიყენებული ზარალი ციფრებში შემდეგნაირად გამოისახება: დაზარალებული ადამიანების სავარაუდო რაოდენობა -108 360, დაზიანებული ფართობები - 107 043 ჰა, მიყენებული ზარალი - 136 236 343 ლარი. აქედან, მარცვლოვნების დაზიანებული ფართობი შეადგენს - 63 695 ჰა-ს, მზესუმზირა - 9 516 ჰა, ლობიო - 384 ჰა, კარტოფილი - 3 194 ჰა, ბაღჩეული კულტურები 1 708 ჰა, ვენახი - 10 957 ჰა, ხეხილი - 1 595 ჰა, თხილი - 15 898 ჰა, კაკლოვნები -79 ჰა, ფრინველი - 2 661 ფრთა და 95 ფუტკრის ოჯახი.

აგრორისკები ძირითადად იყოფა სოფლის მეურნეობის ორი მსხვილი მიმართულების მიხედვით: ა) მემცენარეობა და მასთან დაკავშირებული რისკები ბ) მეცხოველეობა და მასთან დაკავშირებული რისკები. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროდუქტები შეიძლება მოიცავდნენ ერთ ანრამდენიმე რისკს, ასევე მთელ მეურნეობას ან მისრომელიმე ნაწილს. სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანია სისტემური ხასიათის ბუნებრივ კატაკლიზმებთან (სეტყვა, გვალვა, ღვარცოფი, წყალდიდობა) დადაავადებებთან

დაკავშირებული რისკების დაზღვევა. სასოფლო - სამეურნეო რისკები, რომლებმაც შეიძლება ფერმერულ მეურნეობებს ზიანი მიაყენონ, დიდად არის განპირობებული ისეთი ადგილობრივიფაქტორებით, როგორიცაა ლანდშაფტი, ნიადაგის ტიპი, სასოფლო - სამეურნეოწარმოების პრაქტიკა. განვითარებად ქვეყნებში ამას ემატება მთელი რიგი სხვაფაქტორები. ჩვეულებრივ, განვითრებად ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სასოფლო - სამეურნეო რისკებისშერჩევას, რომელთა დაზღვევასაც განახორციელებენ. ამ მდგომარეობის გასანეიტრალებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა ფერმერული მეურნეობების რისკების ეფექტური კომპენსირებისათვის შექმნეს კერძო დაზღვევის ეროვნული სისტემები, რომელთაცამავე დროს ძლიერი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა აქვთ. ამ ტიპისსადაზღვევო სისტემებში სადაზღვევო პრემიის ნაწილს ჩვეულებრივ სახელმწიფოანაზღაურებს, რაც ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევითი დაზღვევისპრაქტიკას. განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროდაზღვევის სფეროს განვითარებისათვის საჭიროა გადაიჭრას ორი ძირითადი ხელისშემშლელი პრობლემა: ურთიერთნდობის მიღწევა და რისკის კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა. ურთიერთნდობის მიღწევა მთავარი ფაქტორია აგრობიზნესის დაზღვევის ბაზრის საფუძვლის შექმნასა და განვითარებაში. დაზღვევის ბაზრის შექმნა, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც დაზღვევის მომხმარებლები ხშირად 1 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობენ, ძალიან რთული ამოცანაა. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთიუკიდურესად მცირე მეურნეობები დომინირებენ სოფლის მეურნეობის პირველადიწარმოების სადაზღვევო ქსელი ხშირად არც არსებობს ამ სეგმენტისდაბალშემოსავლიანობის გამო. დაზღვევის შესახებ ცოდნის გავრცელება დადაზღვევის სისტემისადმი ნდობის ამაღლება შესაძლებელია, მიღწეულ იქნასსხავდასხვა საშუალებებით: ფერმერები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რა განსხვავებაა სახელმწიფო უზრუნველყოფასა და დაზღვევას შორის.საფინანსო ინსტიტუტები ყველაზე ეფექტური საშუალებაა დაზღვევის განვითარებისათვის. მათ მოეპოვებათ ყველაზე მეტი ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ფინანსური ისტორიის შესახებ და გააჩნიათ ყველაზე დიდი დეცენტრალიზებული ფილიალების ქსელი. მათ შეუძლიათ მოითხოვონ დაზღვევა, როგორც სესხის მიღების

სავალდებულო ეტაპი. ამით შესაძლებელია დაზღვევა გახდეს სავალდებულო, რითაც მაქსიმალურად მცირდება დაზღვევის შერჩევითობა. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე მომუშავე კომპანიების ბანკებთან თანამშრომლობა მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკების ინტერესები განსხვავებულია მზღვეველთა ინტერესებისაგან. მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია მეცხოველეობას, მისი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციაში 50%-ია. თუმცა ბოლო წლებში მეცხოველეობის მაჩვენებელი შემცირდა. 2018 წლისთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 878,9 ათასს შეადგენს, რომელიც შემცირებულია 2017 წელთან შედარებით 4%-ით ათასით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წილი ექსპორტში 2017 წლის მონაცემებით 5%-ს შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საექსპორტო პოტენციალის ზრდა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რადგან წელიწადში თითქმის 100 ათასამდე ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გადის ექსპორტზე, ძირითადად კი მცირე წონის საქონელი. 2018 წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 127 139 სული მსხვისფეხა პირუტყვი, 66 231 სული წვრილფეხა პირუტყვი და 306 029 დაკლული ცხვარი, ასევე 2 210 032 კგ დამარილებული ტყავი 2 168 440 ფრთა ფრინველი60 . 2019 წლის პირველი იანვრიდან აიკრძალა 140 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალი წონის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში საქონლის ხორცის წარმოების გაზრდას, რომელიც ამჟამად იმპორტირებული პროდუქტით ნაცვლდება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის დინამიკა

2019 წლის ივნისის თვის მონაცემებით, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 834 პოლისი, პროგრამაში ჩართულია 4 985 ბენეფიციარი. სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 4 148, 239 ლარი შეადგინა. 74 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო apma.ge 76 დაზღვეულია 10 473 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება ჯამში 96 497 027 ლარს შეადგენს. ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდით გამოიკითხა გორისმუნიციპალიტეტის (ხიდისთავი, ატენი) 49 ფერმერი დარგობრივი სპეციალიზაციისა და მეურნეობის ზომის მიხედვით. კვლევისას აქცენტი გაკეთდა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. რა იცით აგროდაზღვევის შესახებ?
2. გისარგებლიათ თუ არა როდისმე აგროდაზღვევით?
3. რამდენად კმაყოფილები ხართ აგროდაზღვევით?
4. რისთვის გჭირდებათ აგროდაზღვევა?
5. ისარგებლებთ თუ არა შემდგომშიც დაზღვევით?

გამოკითხული 48 მეურნეობიდან მცირე მეურნეობას წარმოადგენდა 27 (58%), საშუალო სიდიდის მეურნეობას - 12 (24%) და დიდი ზომის სასოფლო მეურნეობას - 9 (18%). რესპოდენტთა 90%-ს სმენია აგროდაზღვევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი (64%) ამ საკითხს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებას უკავშირებდა. როგორც ჩანს, სახელმწიფოს ამ ინიციატივამ დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე აგროდაზღვევის კუთხით. რესპოდენტთა 50%-ს (24 ფერმერი) უსარგებლია აგროდაზღვევით, მათგან 70%-მა პირველად დააზღვია მოსავალი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აქვე,აღსანიშნავია, რომ, იმ ფერმერებს შორის რომლებიც სარგებლობენ აგროდაზღვევით, კითხვაზე, თუ რატომ არ უსარგებლიათ დაზღვევით, რესპოდენტთა 38% მიიჩნევს, რომ ფერმერებს შორის არ არის ნდობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ და აქვთ ზარალის არანაზღაურების გარკვეული შიში. ფერმერთა 19%-მა ხაზი გაუსვა დაზღვევის არახელსაყრელ პირობებს. ფერმერთა 16%-მა მიზეზებს შორის მიუთითა სადაზღვევო პროდუქტების შესახებ ცოდნის არქონა. ასევე 11%-მა - სასურველი რისკებისაგან დაზღვევის შესაძლებლობის არ არსებობა, ხოლო ფერმერთა 8%-მა საკმარისი თანხის არქონა სადაზღვევო პრემიის შესატანად. სადაზღვევო სისტემის დახვეწის მიზნით, შემდგომშიც ჩატარდება მსოფლიოში აპრობირებული აგროდაზღვევის სისტემების მიმოხილვა. გაანალიზდება საპილოტე პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები და კერძო სადაზღვევევო კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად დაიხვეწება არსებულიპროგრამა. სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რისკების მართვის მექანიზმების დახვეწას და აგროსადაზღვევო ბაზრის შემდგომ განვითარებას.

თავი III. მთავარი სტრატეგიული მიმართულებები აგრობიზნესში

3.1 აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება

აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 39%-ია. ამ სექტორში 659 ათასი ადამიანია დასაქმებული, რომელთა უმეტესი ნაწილი საკუთარ მეურნეობაში მუშაობს. ოჯახური მეურნეობის სარგებლობაში საშუალოდ 1.14 ჰექტარიმიწაა. მცირე მიწიანობა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და მასშტაბის ეფექტით სარგებლობის შესაძლებლობას აფერხებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების სიღარიბის მიზეზი შრომის პროდუქტიულობის დაბალი დონეა. 2018 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის საშუალო პროდუქტიულობა თვეში 407 ლარი იყო, რაც ქვეყნის ეკონომიკის საშუალო პროდუქტიულობაზე 5-ჯენაკლებია.

აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ინსტიტუციური განვითარებისა და დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო კვლავ აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილია 186 ახალი და გადაიარაღებულია 900 საწარმო. 6,347 ჰა-ზეგაშენებულია 993 ინტენსიური, სხვადასხვა კულტურისბაღი, მიმდინარეობს ქართული ქართული ჩაის რეაბილიტაციის 44 პროექტი. ასზე მეტი ბენეფიციარი ჩართულია პროექტში,

რომელსაც სახელმწიფო დარგის განვითარებაში ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით ახორციელებს.

დღეისათვის მიმდინარ ერეფორმების უარყობითი მხარე ისაა, რომ მისი შედეგები გასაგებია მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის და რეფორმატორებისათვის. მისი წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია ფართო სოციალური ბაზა. ადამიანებმა უფრო თვალნათლივ უნდა იხილონ რეფორმის სიკეთე. მათ უნდა იგრძნონ თავიანთ ყოველდღიურცხოვრებაში საკუთარ თავზე რეფორმებით მირებული სიკეთე. მოსახლეობის დაბალი შემოსავალი ხელს უწყობს იაფი, მაგრამდაბალი ხარისხის იმპორტული პროდუქციის გასაღებას და სამამულო, ადგილობრივი პროდუქციის ჩაწოლას და შემდეგ გაფუჭებას. აგრობიზნესის აღორძინების აუცილებლობა განპირობებულია სამამულო საქონლის

წარმოების ზრდით და შიდა ბაზრის მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის ჩამოყალიბებითაც. აგროსექტორში ეროვნული წარმეობის ფორმირება-განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი, რომლის შექმნაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

პროგრამა - „ახალგაზრდამეწარმე“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2018 წლიდან ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით. პროგრამის ბენეფიციარები: რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყების მსურველი ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა ასაკი შეადგენს 18-35 წელს მამაკაცების შემთხვევაში და 18-40 წელს ქალების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა დამფუძნებლები/მეპაიეები და გამგეობის თავმჯდომარე / დირექტორ(ებ)ი არიან 18-35 წლისმამაკაცებიან/და 18-40 წლისქალები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასოფლო - სამეურნეო საქმიანობა. სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს - გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების არა უმეტეს 40%-ს.

როდესაც სოფლის მეურნების განვითარება იგეგმება სიღარიბის დაძლევის თვალსაზირისით სახელმწიფოს მხრიდან, მაშინ ის არის პასიური. იმ შემთვევაში კი თუ

სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს კერძო მეწარმეთა ინტერესს და შესაბამისად სახელმწიფოს მხრინდან ხდება ინვესტირება და ტექნოლოგიების დაგეგმვა, მაშინ ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სფეროში კონკურენციას მეწარმეებს შორის. იქმნება კონკურენტული აგრარულ იბიზნესგარემო, ჩნდება ცხვადასხვა ინტერესი დაიწყება ინვესტიციების მოზიდვა. შესაბამისად ვითარდება აგრო სექტორი.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობის გაზრდის მრავალი ისეთი შესაძლო გზა არსებობს, როგორიცაა ცოდნის ამაღლება, ტექნოლოგიების გამოყენება, ფერმერებს შორის თანამშრომლობა, მიწის ფრაგმენტულობის პრობლემის დაძლევა, ჯანსაღ კონკურენციაში ჩაბმა და სხვა. სწორ პოლიტიკას სწრაფად შეუძლია პროდუქტიულობის გაზრდა, მაგრამ არასასურველი შედეგიც ახლავსთან, უმუშევრობის სახით. არასრულად დასაქმებულ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არმქონე გლეხებს საარსებო შემოსავლის დაკარგვის რისკის ქვეშ აყენებს.

ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება. კერძოდ, მიწის რეგისტრაციისა და საკადასტრო რუკების გაუმჯობესება და გამარტივება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ინვენტარიზაცია. ასევე მიმდინარეობს ფერმერთა რეესტრის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი საშუალებების შექმნა და განვითარება, აგრო სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება. კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით ყურადღება ექცევა კოოპერატივების შექმნას.

აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება აერთიანებს 6 ღონისძიებას და 12 პროგრამას. ღონისძიებები ძირითადად მოიცავს ფერმერთა ცოდნის ამაღლების, სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარების, სასოფლო - სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების, ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობ პროგრამებს. სტრატეგიული მიმართულების ჯამური ბიუჯეტი განისაზღვრა 70,120,000 ლარის ოდენობით.

კონკურენციის ამაღლების მიმართულებით ტარდება შემდეგი ღონისძიებები: ფერმერთა ცოდნის ამაღლებად ეფექტიანი სასოფლოსამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა;სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათ სარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა; სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა და განვითარება; სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება; ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობა დამარკეტინგული პროგრამის განხორციელება

3.2 ეროვნულისასურსათოპროდუქციისპოპულარიზაცია

დღეისათვის საქართველოში ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ნაწარმის მიმართ ზოგიერთი მომხმარებელი ჯერკიდევ სკეპტიკურად არის განწყობილი, უმეტესობა საკმაოი ნტერესს იჩენს ქართული პროდუქტისადმი. ადგილობრივი საქონლის რეალიზაციით ხელისუფლებაც არის დაინტერესებული, რამდენადაც წარმოების ზრდაქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახება. ეროვნული წარმოების განვითარებაში ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი. ასეთი ნაბიჯი ყოველდღიურად შეიძლება ცალკეულმა მომხმარებელმაც გადადგას. რაც უფრო ხშირად შეიძენს იგი საქართულ პროდუქტს, მით უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში," რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობისგ ანვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

„აწარმოე საქართველოში" სახელწიფო უწყებაა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციოკლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამკომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს, ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდადა საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

სასოფლო - სამეურნეო სექტორში პროგრამა მიზნად ისახავს სოფლად საოჯახო მეურნეობების დახმარებას მათი პროდუქტიულობის და შემოსავალის ზრდის კუთხით. ყურადღება მახვილდება სოფლის მეურნეობის სამ პრიორიტეტულ სექტორზე: ბოსტნეულის, ხილის (კენკროვანი) და მეფუტკრეობა. საქმიანობები, რომლებიც მიმართულია წარმოების ახალი და გაუმჯობესებული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისაკენ, ტექნიკური დახმარებისა და ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარებისაკენ, საბაზრო კავშირების ხელშეწყობისაკენ და ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისაკენ დაეხმარება ფერმერებს გააუმჯობესონ პროდუქტიულობა და მოსავალი, და შესაბამისად გაზარდონ შემოსავალი. პროგრამა ასევე ხელს უწყობს სასოფლო - სამეურნეო სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გამწევი საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას და პროფესიული ტრენინგების ჩატარებას ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ინდივიდუალურ და კოოპერატიულ მწარმოებლებთან და საბითუმო და საცალო შემსყიდველებთან თანამშრომლობენ.

მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროში მაღალი ხარისხის ხილისა და ბოსტნეულის წარმოების ზრდის ხელშეწყობა. პროექტი ასევე აუმჯობესებს ფერმერთა და საწარმოო ჯაჭვში ჩართული სხვა სუბიექტების ბაზრებზე წვდომას. Zrda გეგმავს ხილისა და ბოსტნეულის ადგილობრივი ბაზრისთვის სტანდარტების დანერგვას, ე.წ. „სანიმუშო სასოფლო - სამერნეო პრაქტიკა“ სერტიფიცირების სისტემა, რომელიც ხარისხიანი პროდუქციის საბაზრო პოზიციონირების როლს შეასრულებს.

სოფლის მეურნეობის სფეროში ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მეფუტკრეობის მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოების ზრდა და მისი ხარისხის ამაღლება ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზრებზე. თაფლის წარმოების ზრდასთან

ერთად Zrda ასევე ფოკუსირდება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის დედა ფუტკრების გამოყვანასა და გამრავლებაზე, ფუტკრის რძის წარმოებაზე და სხვა. ხდება ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია მეფუტკრეობის კოოპერტივების ტექნიკური უნარ - ჩვევების ხელშეწყობის გზითაც.

ქართული რძე არის რძის პროდუქტების განმასხვავებელი ნიშანი და მიეთითება იმ პროდუქტზე, რომელიც მზადდება მხოლოდ ნედლი რძით. ნიშნის მიზანია ქართული ნედლი რძით წარმოებული პროდუქტის პოპულარიზაცია, რაც ხელს უწყობს მომხმარებელს მიიღოს ინფორმაცია, გააკეთოს არჩევანი რძის პროდუქტების შეძენისას. ნიშნის გამოყენება შეუძლიათ იმ საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას მხოლოდ ნედლი რძით და არ შეიცავს რძის ფხვნილს ან სხვა დანამატებს. საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი რეგულარულად ატარებს აუდიტს საწარმოებში, იმის დასადგენდ თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ნიშნის გამოყენების კრიტერიუმებს. ინსტიტუტი ადმინისტრირებას უწევს ქართული რძის ნიშნის ვებგვერდს, ქმნის რძის გადამამუშავებელი საწარმოების მონაცემთა ბაზას, რომელიც იტვირთება ვებგვერდზე, და ლობირებას უწევს რძის მწარმოებლებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ინსტიტუტი უფასო კონსულტაციას უწევს ქართული რძის ნიშნის ბაზაში დარეგისტრირებულ მეწარმეებს ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, ბაზრის კვლევების და მარკეტინგის საკითხებზე.

ტელევიზიის, რადიოს, გაზეთებისა და რეკლამების მეშვეობით ეროვნულ სასურსათო პროდუქტებზე ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ზუსტი და მიზანმიმართული მესიჯებით, რომელიც საზოგადოებაში ჩამოაყალიბებს სხვადასხვა ეროვნული სასურსათოპ როდუქციის უსაფრთხოების, დადებითი თვისებების შესახებშ ეხედულებას. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია ასევე ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუნიკაციის გამოყენება. ინტერნეტის, სოციალური ქსელების, ბლოგების, ციფრული მედიის მეშვეობით მესიჯები სწრაფად და ეფექტურად მიაღწევს სამიზნე აუდიტორიამდე.

ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანებული გენეტიკურად ქართულიწარმოშობის პროდუქტები ხშირად მსოფლიო ბაზარს იპყრობენ. ”თბილისისი ვენთჰოლში”

პირველად ისტორიაში, ქართული ϫიშის (გენეტიკის) სურსათის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

”ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ნიშანი ”გემოვანის” წარდგენა ქართველი მომხმარებლისთვის და ადგილობრივ ბაზარზე გენეტიკურად ქართული წარმომავლობის პროდუქტების პოპულარიზაცია. გამოფენა - გაყიდვაში მონაწილეობას დაახლოებით 50-ამდე მეწარმე იღებდა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ და საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს. გამოიფინა და გაიყიდა როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმომავლობის ქართული, ნატურალური პროდუქცია: პური, რძის ნაწარმი, ხორცი, ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული და სხვა2018 წლიდან დაიწყო ყოველკვირეული ბაზრობის გამართვაც, სადაც ”გემოვანის” ნიშნით გაერთიანებულიპ როდუქცია იყიდება.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფერმერს, რომელიც გენეტიკურად ქართულ პროდუქტს აწარმოებს, რითაც სტიმული ეძლევა საქართველოში ადგილობრივიპ როდუქციის წარმოებას. ფერმერებს ეცოდინებათ, რომ გენეტიკურად ქართული პროდუქცია არის მოთხოვნადი და ძვირადღირებული. შეიძლება 5 ტონა ბოსტნეულის ნაცვლად მოიყვანონ 2 ტონა და შემოსავლის სახით, მიიღონ 5ტონის ღირებულება.

მნიშვნელოვანია მოხდეს ადგილობრივი ბაზარის ათვისება და წარმოების ქართული ტრადიციული მეთოდების აღდგენასა და გენეტიკურად ქართული პროდუქტის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ”გემოვანის” ქვეშ წარმოებული პროდუქცია არის უნიკალური და მას უნდა გაეცნოს მსოფლიო. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფერმერს, რომელიც ქართულ ნატურალურ პროდუქტს აწარმოებს. ამით სტიმული მიეცემა საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას. ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომ გენეტიკურად ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა და იგი საკმაოდ ძვირადღირებულიცაა.

სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი აქტივობა ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მისასალმებელია და საჭიროცაა. მთავრობის მიერ აქტიურად ხდება ღვინისა და მინერალური წყლების რეკლამირება უცხოურ ბაზრებზე.

ამ ტიპის აქტივობა ნებისმიერ პროდუქტზე შეიძლება განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის გარდა სხვა მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტი, ჩვენ არ გაგვაჩნია. თანდათან ხდება ცხვა პროდუქტებზეც ცნობადობის ზრდა. გვაქვს თხილი და მასზე მოთხოვნა მსოფლიოში ისედაც საკმაოდ დიდი და მზარდია. ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირებას რამდენიმე შედეგი მოაქვს: კონკრეტული პროდუქტის პოპულარიზაცია, ქვეყნის პოპულარიზაცია, ინვესტორების დაინტერესება და ა.შ.

მნიშვნელოვანია მსოფლიოში აპრობირებული სოფლის მეურნეობის განვითარების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით რეკომენდაციების შემუშავება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდისა დაპ ოპულარიზაციის მიზნით.

გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით შეიქმნა მარკეტინგული საბჭო, რომელსაც დაევალა საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების სქემების განვითარების, პროდუქტის ბრენდინგის, მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობისა და მათი დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულყოფა. საბჭოში გაერთიანდა წამყვანი სპეციალისტები, საქპატენტის ექსპერტები. საქართველო გამოირჩევა ძირძველი, ტრადიციული და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის და სასურსათო პროდუქციის წარმოებით, თვითმყოფადი კულტურით, რომელსაც სათანადო დაცვა სჭირდება, თუმცა მნიშვნელოვანია პროდუქცია პასუხობდეს ბაზრის და მარკეტინგის თანამედროვე მოთხოვნებს. გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქართულიპ როდუქციის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს მარკეტინგისა და ბრენდინგის მიმართულებით. პროდუქტს მინიჭებული უნდა ქონდეს მეტი დაცულობა, პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლები უნდა იყოს ყოველთვის ერთგვაროვანი, რაც მომხმარებლების მხრიდან მეტნდობას დაიმსახურებს. ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების შემდეგ საწარმო და თვითპროდუქცია ექვემდებარება მუდმივ კონტროლს მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. საქართველოში საქპატენტის მიერ დარეგისტრირებულია ღვინოები და

მინერალური წყლები, „გეოგრაფიული აღნიშვნების“ სურსათი: ჭაჭა, ჩურჩხელა, მაწონი და ყველის ნაირსახეობა, იგეგმება რამდენიმე „ტრადიციული პროდუქტის“ რეგისტრაცია. მნიშვნელოვანია ბიოორგანული პროდუქციის დაცვაც, რომლის წარმოება საქართველოში მზარდია და მსოფლიო ბაზრებზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. მზარდია მოთხოვნა მთაში გაზრდილ, ბუნებრივ გარემოში მწვანე ბალახით გამოკვებილ პირუტყვის ხორცპროდუქტებზე, რაც ნამდვილად მაღალი ხარისხისაა დღეს არსებულ მასობრივი მოხმარების ინდუსტრიულპროდუქტთან შედარებით. აგრობიზნესში ხარისხის დაცვა ქმნის დამატებით ღირებულებას, ხელს უწყობს აღნიშნულ პროდუქტებზე მოთხოვნისზ რდას, აგროტურიზმის განვითარებას, სოფლის გაძლიერებას და ექსპორტის ზრდას.

3.3 მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობა აგრობიზნესში

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს ბაზარზე ფასისა და ხარისხის შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მომსახურების არარსებობა წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში ფერმერებისთვის მძიმე ფინანსური შედეგებით მთავრდება.მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით სავაჭრო სალდო ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები. მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს. დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. განსხვავებული მდგომარეობაა იმპორტის შემთხვევაში: ხორბალი, ხორცი და ხორცპროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენარეული ზეთი - ეს იმ პროდუქტთა არასრული

ჩამონათვალია, რომლებიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქტებს წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქტების წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში 42%-მდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი, რომლის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს საქართველოში. ადგილობრივი წარმოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად შესაბამის სეზონზე ხორციელდება.

დღეისათვის დიდი ყურადღება ექცევა გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტებს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შენახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტების მიზანია პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების შექმნა და მათი დაფინანსება. პროექტი ხორციელდება 2014 წლიდან და 2018 წლის მონაცემებით საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 45-ს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია 70 439 440 ლარს. ეს არის მნიშვენლოვანი მიმართულება სოფლის მეურნეობის სფეროში. აგრარულ სექტორში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მიწების სათანადო მომარაგება წყლით, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია, რომელიც უზრუნველყოფს ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნას. ყოველწლიურად იზრდება მელიორირებული სავარგულების რაოდენობა, რამაც სოფლის მოსახლეობისთვის გააჩინა დამატებითი სტიმული დაბრუნებოდნენ მიწათმოქმედებას.

2018 წელს განხორციელდა 41 პროექტი, რომლის შედეგად მოხდა 4 956 ჰექტარის ირიგაცია. 2019 წელს სამელიორაციო სისტემების მოსაწესრიგებლად გამოიყოა 77 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 9 მილიონი ლარითაა გაზრდილი. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვაა. აღნიშნული აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის მხარდაჭერით მიმდინარეობს. ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის. ყველა საწარმო, რომელიც სარგებლობს

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით, ვალდებულია დანერგოს საერთაშორისო სტანდარტი, რომლის დანერგვის 80% ფინანსდება. გარდა ზემოთ აღნიშნული პროგრამებისა და სამოქმედო გეგმისა, შემუშავებულ იქნა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით განისაზღვრა სამი ძირითადი მიმართულება:

1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა
2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე
3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა აღნიშნული მიმართულებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარებისთვის. აუცილებელია მათ მიმართ სწორი, მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ აგრარული სექტორის სამომავლო მაჩვენებლებზე დადებითად აისახება.

2019 წელს განხორციელდა შედეგი პროექტები: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა; ტექნიკური დახმარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგის პროექტი, რომლის საგრანტო დაფინანსების მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა ხარისხიან მარკეტინგულ სერვისებზე წვდომა, მარკეტინგული ინფორმაციის შექმნა და მწარმოებლებისთვის აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მესაქონლეობის ხელშეწყობის პროექტი; ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომლმაც ხელი შეუწყო საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოებას.დღეისათვის მთავარია სწორი, გრძელვადიანი პოლიტიკის გატარება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო საშუალებების გამოყენებაზე. კერძო სექტორში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი გაუმართავია, რაც აფერხებს სამუშაოების აგროვადებში შესრულებას, ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს მიღებული მოსავლის რაოდენობას.

საქართველოს სოფლის ტერიტორიებზე სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების და შესაბამისი მომსახურებების ნაკლებობაც შეიმჩნევა. შესანახი მომსახურებების ნაკლებად გამოყენების ძირითადი მიზეზი, საწყობების და მაცივრების შემთხვევაში, სოფლიდან დიდი მანძილით დაშორება და ღირებულებაა. სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო ხელის შეწყობა მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვისას - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებისას. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა იგი მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობები სუსტადაა განვითარებული.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფცაშიხილ-ბოსტნეულის შემნახველი ახალი საწარმო ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრო მეურნეობა შპს „აგროლიდერი“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში ჯამურად 1,212,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600,000 ლარი გრანტია, 328,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. სამაცივრო კომპლექსში წელიწადში 720 ტონა სხვადასხვა სახის ხილ-ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი. პროდუქციის რეალიზაცია გათვლილია ადგილობრივ ბაზარზე. სამაცივრო კომპლექსში მუდმივად 20 ადგილობრივია დასაქმებული, ხოლო სეზონურად ემატება 15 ადამიანი.

კომპანიაში 2019 წლის ბოლოს, სოფლი სმეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის - HACCP-ის დანერგვა მოხდა. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 194 ახალი საწარმო დაფინანსდა, საიდანაც, შიდა ქართლის რეგიონში შეიქმნა 26 ახალი საწარმო. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერმა მეწარმეებს დამატებითი სტიმულიმის საწარმოების განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გრძელვადიანი გადაქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურზრდას და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო

სტანდარტების დანერგვას. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების.

2018 წელს ქართული სურსათისა და სასმელების ექსპორტის 15% ევროკავშირში გადიოდადა 148 მლნ აშშ დოლარსშეადგენდა.

იმფონზე, როდესაც მემცენარეობის და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების რაოდენობები შემცირების ტენდეციით ხასიათდება, სურსათისა და სასმელების ექსპორტის ზრდა და იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებამ განაპირობა. ექსპორტში გადამუშავებული პროდუქციის წილმა იმატა, რომლის ღირებულება ნედლი სახით პროდუქციის მიწოდებასთან შედარებით მაღალია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამები ძირითადად სოციალური შინაარსის უფროიყო, ვიდრე ამ დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა ზეგათვლილი. ბოლო 10 წელიწადში სოფლის მეურნეობის მიმართულებით არაერთი სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა.

თებერვალში USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ ახალი ინოვაციური საგრანტო პროგრამა გამოაცხადა ადგილობრივი სურსათის მწარმოებლების, გადამამუშავებლების და დისტრიბუტორების მხარდასაჭერად. აღნიშნული წარმოადგენს შემოსავლების ზრდის, სამუშაოადგილების შექმნის, სოფლისმეურნეობის სექტორის წინსვლისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობას. წლების განმავლობაში არასაკმარისი ინვესტიციების და არაეფექტურობის შედეგად, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა დააწესა ემბარგო, ექსპორტი მთლიანად გაქრა, დაეცა მოსავლიანობა და ნაკლები მარაგების გამო იმატა სურსათი სფასებმა.

2010 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის სექტორის მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოს მთავრობის მხრიდან გაზრდილმა ყურადღებამ, დონორების მხარდაჭერამ და კერძო ინვესტიციებმა ფერმერებს შესაძლებლობა მისცა გაეზარდათ მოსავლიანობა, შეექმნათ სამეწარმეო შესაძლებლობები, გაეუმჯობესებინათ ცხოვრების სტანდარტები სოფლად და მოსავლის აღების შემდგომი

ტექნოლოგიები.. საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. ქართულ აგრობიზნესს მეტი ინოვაციები სჭირდება ქვეყანაში მეტი კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

საქართველოს მთავრობასთან და კერძო სექტორთან პარტნიორობით USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ დაიწყო ახალი ინოვაციური საგრანტო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი და სწრაფი ცვლილებების სტიმულირებისათვის. გრანტის ფარგლებში, რომლის ვადაც იწურება 2020 წლის ბოლოს, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა ითანამშრომლებს აგრობიზნესთან, რათა ერთობლივად შექმნან და დააფინანსონ ინოვაციებიის ერთ სფეროებში როგორიცაა - წარმოება, გადამუშავება, დახარისხება, შენახვა და დისტრიბუცია. ყოველივე ეს დაეხმარება საქართველოში წარმოებულ იქნას მაღალი ხარისხის პროდუქცია, მოამარაგონ მეტი საერთაშორისობაზრი და შემცირდეს ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტზე. ახალი ინოვაციების საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი იდეების გამოვლენას, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის საქართველოს სოფლის მეურნეობას. სურსათის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის გაუმჯობესება კი სოფლის მეურნეობის სექტორს შესაძლებლობას მისცემს ხელი შეუწყოს სოფლად ეკონომიკურ ზრდას.ყოველივე ეს დაეხმარება და წარმატებას მოუტანს, როგორც ადგილობრივ ფერმერებს, ასევე სოფლის მოსახლეობს.

მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარებით აგრობიზნესში იქმნება სამუშაო ადგილები, ხელი ეწყობა ახალ ბაზრებზე შესვლას დაფუძნდება ახალი მაღალი სტადარტები საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის საწარმოებლად.

USAID ფერმერებს ინოვაციური გზების მოძიებაში ეხმარება, რაც მათი პროდუქციის ბაზარზე გატანას უწყობს ხელს. ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით“საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან”, “საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიასთან”და“აჭარა ჯგუფთან”პარტნიორობით USAID-ის პროექტმა‘ზრდამ’შექმნა“აგრონავტი”მობილური აპლიკაცია.

საქართველოში მსგავსი მობაილ აპლიკაცია ქვეყნის ეკონომიკისთვის მხოლოდ მომგებიანია, რომელიც ფერმერს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გასაღების ახალ

ბაზარზე გასვლისა და დაკავშირების საშუალებას აძლევს, ხოლო ტუროპერატორებს ძვირადღირებული იმპორტის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ჩანაცვლებას. აპლიკაცია 2018 წელს ამოქმედდა და დღეს უკვე 4,180 რეგისტირებული მომხმარებელი ჰყავს. საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიამ, რომელიც 186 ფერმერისგან ყიდულობს სურსათს, გამოიყენა და მიაწოდა 3.7 მილიონი ლარის ღირებულების (1.2 მილიონიდოლარი) ბოსტნეული, რძისნაწარმი, თაფლი და სხვა.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტები ინოვაციებისთვის გაიცემა იმ პირობით, რომ შეიქმნება ახალი შესაძლებლობის სოფლის მეურნეობის სექტორის წინსვლისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის. ინოვაციური საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად საწარმომ ან მეწარმემ უნდა წარადგინოს საგრანტო განაცხადი, წარსული და მიმდინარე ფინანსური მდგომერეობა და შესაძლო ფინანსური პროგნოზირება 2020 წლის ბოლომდე.

.

თავი IV. სახელმწიფოს მხარდაჭერა აგრარულ სექტორში და პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებები

4.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის როლი აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტაში და ძირითადი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები

თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირებას სახელმწიფოს მხრიდან. მოქმედებს აღნიშნული მიმართულებით მოქმედი პროგრამები. ერთ-ერთი პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნისმ ომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწის ნაკვეთი არა უმცირეს 25 მეასედისა.სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით.

აგროდიზელით ხელშეწყობისპ როგრამის ფარგლებში დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად შეძენას შეძლებენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწისნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიულიპირები.

საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამი სბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალფასად იყიდიან.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას. ყოველივე ეს სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

ერთ-ერთი მოქმედი პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლისმეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებენ შეღავათიან აგრო კრედიტს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შესაძენად .

„შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის“ ფარგლებში აგრო კრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე <u>კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები</u>, სოფლისა და სოფლისმეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგს:

- სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში"
- შეღავათიანი აგრო ლიზინგი
- შეღავათიანი აგრო კრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის
- შეღავათიანი აგრო კრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტიც. იგი ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღისგაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15ჰა-დან 0.5 ჰა-სჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

მოქმედი ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის მიზანია სააგენტოს მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში

დაფინანსებული / დასაფინანსებელი პოტენციური ბენეფიციარების მხარდაჭერა თანადაფინანსების, საკონსულტაციო მომსახურეობის და ტრენინგის ჩატარების გზით.

ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს არა საფურაჟე/სასურსათო ხორბლის და პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასის შენარჩუნებას. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ქვეყანაში ხორბლის და პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის მარაგების შექმნის სტიმულირებას.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა მიზნებია: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობისათვის, ასევე საექსპორტო პოტენციალის დონის ზრდისათვის; პროგრამის ფარგლებში ხდება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სახელმწიფოს მიერ ასევე ხდება ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა სხვადასხვა გზით.

სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის როლი აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტაში ნათლად აისახება ისეთ პროგრამებში, როგორიცაა: მეფუტკრეობის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფოპ როგრამა; რძის მწარმოებელი სასოფლო -სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა და მევენახეობის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა. დღეისათვის საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან მაღალმთიან რეგიონებში სახნავ-სათესი მიწების დამუშავების ხელშეწყობას და კოოპერატივების ჩამოყალიბებას.

ბოლო წლებში რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. რამდენიმეჯერ გაიზარდა სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოების შესრულებას, სასოფლო-სამეურნეოტექნიკის შეძენასა და მისგამოყენებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე

ლაბორატორიების შექმნას და საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას. მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში დამუშავებულიმ იწების ფართობი, მოიხნა მიწის ისეთი ფართობები, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული და დაუმუშავებელი იყო. გაიზარდა ინტერესი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე, კერძოდ ტექნიკის გამოყენებაზე, მაღალინტენსიურ სათესლე მასალაზე, ხარისხიან პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე. სასოფლო- სამეურნეო საქონლის სახით სარგებლის მიღების შესაძლებლობამ სტიმული მისცა აგრარული საცალო ქსელების განვითარებას.

4.2. სახელმწიფორეგულირებისადამხარდაჭერისმსოფლიო გამოცდილება

აგრარული სექტორის განვითარება მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ და ატარებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს მისი განვითარებისთვის. აღნიშნული სექტორის განვითარებას აფერხებს და საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემაა და სოფლის მეურნეობაზე მოქმედებსუ არყოფითად. კერძოდ უარყოფითად მოქმედებს აგრარული სექტორის პროდუქციი სრაოდენობასა და ხარისხზე. მსოფლიო მოსახლეობის ძალია ნდიდი ნაწილი იკვებება არასრულფასოვანი ან არასაკმარისი პრუდუქტით.

2018 წლისკვლევების მიხედვით დადგინდა, რომ 2017 წელს არასაკმარისი ს აკვების მქონე ადამიანთა რიცხვი გაიზარდა თითქმის 821 მილიონამდე, 2016 წელს ასეთი ადამიანების რიცხვი 804 მილიონს შეადგენდა. მსოფლიო ორგანიზაციები მუშაობენ ქვეყნებთან, ინოვაციების ინფრასტრუქტურისა და რესურსების უზრუნველყოფის საკითხებში სასოფლო სამეურნეო სექტორში. მსოფლიო დონეზე შემუშავებული მნიშვნელოვანი სტრატეგიებია: საარსებო საშუალებების გაუმჯობესება და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა ქალებისა და ახალგაზრდებისთვის; აგრარული სექტორის თანამედროვე გამოწვევების მიხედვით განვითარება და სექტორში

არსებული ღირებულების ჯაჭვის ჩამოყალიბება; სურსათის უსაფრთხოება; უსაფრთხო და კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოება ყველასთვის; კლიმატის ცვლილების და მისი გავლენის შემცირება აგრარულ სექტორზე.

მეცნიერთა კვლევით 4 ათეული წლის შემდეგ მოსახლეობის ზრდის, შემოსავლების მკვეთრიგ ადიდებისა და ურბანიზაციის ერთობლივი ეფექტი პროგნოზების მიხედვით მიგვიყვანს სურსათზე, საქონლის საკვებისა და ნედლეულზე მოთხოვნილების გაორმაგებასთან. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა უნდა მოხდეს ძირითადად ნათესების მოსავლიანობისა და ინტენსივობის ზრდის ხარჯზე და არა ფერმერული მეურნეობების ფართობების გადიდები სხარჯზე. ნაციონალურმა სასურსათო პოლიტიკამ საჭიროა მიაღწიოს თვითუზრუველყოფი სმაღალ ხარისხს, რადგან სწორედ მოხმარებული სასურსათოპროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული ერის ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და ცხოვრების ხანგრძლივობა.

მსოფლიოში XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გარემოსდაცვა და მდგრარდი განვითარებაა, ამასთანავე თანამედროვე მკაცრი კონკურენტული გლობალური გარემო მოითხოვს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ განვითარებას, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დამ სოფლიოს მკაცრ პირობებში თავისდამკვიდრების საშუალებაა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ამუშავებენ სხვადასხვა სტრატეგიებსა და მიმართულებებს, რომლშიც აღნიშნულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პოლიტიკა საქვს 6 ძირითადი პრიორიტი: 1. სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა; 2. სოფლის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება კვლავაც ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა; 3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და გაუმჯობესება; 4. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, სურსათის წარმოებასა და მეტყევეობაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის მხარდაჭერა; 5. სოფლისმეურნეობის რისკების მართვა, სურსათის წარმოებაში ღირებულებათა ჯაჭვის

ორგანიზების ხელშეწყობა; 6. სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობის ამაღლება სოფლად.

საქართველოს და ევროკავშირის აგრარული სექტორის პრიორიტეტები მნიშვნელოვნად არაა განსხვავებული. სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შესრულებისკენ. რაც ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და ნორმების დანერგვას, ევროპის ქვეყნებთან ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას და მაქსიმალურ მიახლოებას. მნიშვნელოვანია მცირემიწიანობით გამოწვეული პრობლემის გადაჭრის მსოფლიო გამოცდილება. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს აგრარული სექტორის განვითარებას და არ დგას მხოლოდ საქართველოს წინაშე. მრავალ ქვეყანაში მცირემიწიანობის პრობლემის მოგვარება იკავებს პრიორიტეტულ ადგილს.

საერთაშორისო გამოცდილებით სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილება წახალისებას და სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას მოითხოვს, იმისათვის რომ არ დაირღვეს ბაზრის პრინციპები. მცირე მიწიანობის პრობლემა დგას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. მათმა უმრავლესობამ დაიწყო მიწების გამსხვილები სსხვადასხვა პროგრამა. აღმოსავლეთ ევროპის 25 ქვეყნიდან, 7-მა ქვეყანამ დაიწყო მიწის კონსოლიდაციის პროგრამა, 13-მა ქვეყანამ დაიწყო მიწის გამსხვილების პოლიტიკაზე მუშაობა. მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება გერმანიის, ჰოლანდიის და დანიის მოდელებს. თითოეული მოდელიერთმანეთისგან ოდნავ განსხვავდება და ძირითადად მსგავსი პრინციპით მოქმედებს.

მიწის კონსოლიდაციის მიდგომები განსხვავდება მისი სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხასიათით. სავალდებულო კონსოლიდაციის დროს მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესების გათვალისწინებით ხდება მიწის გადანაწილება. მაგ, თუ ერთი ფერმერი ფლობს 4 ან 6 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომელიც ასევე დაინტერესებულია. ამგვარად ჯამში ყველა ფლობს ერთიდაიგივე ღირებულების მიწას, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს. FAO კვლევებისმიხედვით 2015 წელს 7 ქვეყანაში

მიწის გამსხვილება წინასწარშემუშავებული პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა (პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლიტვა, სერბეთი დაა ღმოსავლეთი გერმანია) გამსხვილების პროგრამის 7 ქვეყნიდან 6 ქვეყანაში აირჩიეს სავალდებულო მიდგომა. მიწის კონსოლიდაციის პროგრამით ნაკვეთებიერთიანდება, მფლობელთა რიცხვი კი იგივე რჩება. მიწის კონსოლიდაციის გეგმის მქონექვეყნების ძირითადი მოტივია მიწის სტრუქტურის შეცვლა და კონკურენტუნარიანობის ზრდა. ნაწილი ქვეყნები კი კონცენტრირებული არიან მიწისმფლობელთა პრობლემებზე და მიწის მართვის სისტემის შემუშავებაზე.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტმა საუკეთესო შედეგები აჩვენეს ალბანეთში, სომხეთსა და მოლდოვაში. აღმოსავლეთ ევროპისგან განსხვავებით დასავლეთ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა შედარებით უარყოფითადაა განწყობილი იურიდიული პირებისთვის მიწის მიყიდვის საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ადგილობრივ მაცხოვრებელ ფიზიკურ პირებს გარკვეული ოდენობით. მაგ, დანიაში მიწის კანონმდებლობით საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 150 ჰა-ს. შვეიცარიაში „კანონით მიწის საკუთრებისშესახებ“ მინიმალურმა ზომამ უნდა უზრუნველყოს ერთიადამიანის დასაქმება, მაქსიმალურად კი ითვლებანაკვეთი, რომელიც უზრნველყოფს ნორმალური შემოსავლების დონეს 2-3 დასაქმებულისთვის, დაბლობ ადგილებში ნაკვეთების მინიმალური ზომა 5-7,5 ჰექტარია. ნიდერლანდებში დამშრალი მიწების დიდი ნაწილიე კუთვის სახელმწიფოს, რომელსაც გასცემს ხანგრძლივი იჯარის საფუძველზე და იზღუდება ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევა. გერმანიაში მიწის ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად გასაყიდი ან იჯარით ასაღები მიწის ნაკვეთი არ უნდა უყვეს 1 ჰა-ზენაკლები, მაქსიმალურ ზომად მიღებულია 500 ჰა.

მიწის ბაზრისადმი შედარებით ლიბერალური მიდგომა ახასიათებ საშშ-ს, კანადასა და ავსტრალიას. როგორც მებისმიერ სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი ინოვაციას უკავია. მნიშვნელოვანია ამ კუთხით მსოფლისოგამოცდილება. სტატისტიკური კვლევის მიხედვით აგრო-რობოტიზაციის ბაზარი 2013 წლისთვის 817 მილიონ სშეადგენდა, 2020 წლისთვის კი 16 მილიარდს

მიაღწევს, აგრო რობოტებში იგულისხმება თვითმავალი ტრაქტორები, საკრეჭიმანქანები და სხვა მაგ.იაპონიამ 1980 წელს გამოიყენა დრონიბ რინჯის პლანტაციების 40%-ზე მეტის შესაწამლად. თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ინოვაციური მიმართულებაა ვერტიკალური სოფლის მიწის განაწილების საერთაშორისო გამოცდილება. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა დახურულ სივრცეში, სახურავებზე, კედლებზე მოყვანილ იქნას სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული. გაეროს მონაცემებით 2050 წლისთვის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 86% იცხოვრებს ქალაქებში, ვერტიკალური სოფლისმ ეურნეობის 3 ძირითადი მიმართულება იკვეთება: ჰიდროპონიკა, რომლის გამოყენებისას მცენარეები იზრდებიან წყალში(მცენარე 16 დღეში იზრდება, როცა სასათბურე პირობებში ამას 30 დღე ჭირდება).სექნოლოგია საშუალებას იძლევა მოვიხმაროთ 95%-ით ნაკლები წყალი, 50%-ით ნაკლები სასუქი და საერთოდ არ გამოვიყენოთ პესტიციდები. აეროპონიკა-ამ მეთოდის საშუალებით მცენარის ფესვები ჰაერშია მოთავსებული და საკვები ნივთიერებები და წყალი მიეწოდება წვეთოვანით. აკვაპონიკა გულისხმობს თევზებისა დამ ცენარეების ერთობლივ ზრდას. მცენარეები ახდენენ წყლის გასუფთავებას და ჟანგბადისმ იწოდებას თევზებისთვის, ხოლო თევზების მიერ გამოყოფილი ნარჩენებით-მინერალებით ხდება მცენარეების გამოკვება. ამ მეთოდების გამოყენება უკვე ხდება განვითარებულ ქვეყნებში. ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორებიც ისრაელი და ჰოლანდიაა მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწიეს აგრარულს ექტორში, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დამსახურებაა. ჰოლანდიას(ფართობი 41,543კმ2) ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტი შემოსავალი აქვს აგრარული სექტორიდან. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მათ შეუძლიათ 1 ჰა-ზე 500 ტ.პომიდვრის მოყვანა, ასევე ახორციელებს სასოფლო სამეურნეომ ასალების, ცოდნის და ტექნოლოგიების ექსპორტს.

ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონე არწარმოადგენს აგრობიზნესის მომგებიანობის გარანტიას. ქვეყნები, სადაც მაღალია ცხოვრებისდონე, გამოირჩევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მხარდასაჭერად გამოყოფილი თანხების მაქსიმალური რაოდენობით. მაგ, აშშ-ში იგი

ტოლია 46,5 მილიარდი დოლარის (მშპ-ს 1%), ევროკავშირის ქვეყნებში - 107 121,4 მილიარდი აშშ დოლარის (1,3%), იაპონიაში - 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მშპ-ს 1,4%). ჯერ კიდევ 1962 წელს ევროკავშირში შემუსავებულ იქნა საყოველთაო აგრარული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა: აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ზრდასა და მომსახურებისთვის სურსათის ხელმისაწვდომობას მისაღებ ფასად; ფერმერებისთვის ცხოვრების ნორმალურ პირობების შექმნას; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; სოფლის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებას ევროკავშირის ფარგლებში. მოცემული პოლიტიკა საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის. დღეისათვის პროექტები ფინანსდება ევროკავშირის წლიური ბიუჯეტიდან. მოცემული პოლიტიკის მეშვეობით ევროკავშირის 28 წევრ ქვეყანაშვი 12 მილიონი ფერმერი საქმიანობს, ხოლოხ 4 მილიონი ადამიანი დასაქმებულია სასურსატო სექტორში. შემდგომ წლებში ევროკავშირს მოუწია რამდენიმე ღონისძიების შემუშავება საბაზრო წონასწორობის დაცვისთვის.პოლიტიკა ცვლილებას განიცდის საბაზრო მხარდაჭერიდან საწარმოო მხარდაჭერისკენ. საფასო მხარდაჭერის მასშტაბი მცირდება ფერმერებისთვის პირდაპირი დახმარების გაწევის სასარგებლოდ. 2013 წლის რეფორმამ უზრუნველყო ფერმერთა შემოსავლის მხარდაჭერა. ფერმერებმა მიიღეს სასემოსავლო დახმარება იმის მიხედვით, თუ როგორ უვლიდნენ მიწებს, ზრუნავდნენ გარემოზე, ცხოველთა კეთილდღეობასა და სასურსათო სტანდართების დაცვაზე..

დღეისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლის მეურნეობაში, რასაც ევროკავშირი ხედავს, ეს არის მომუშავეთა ასაკის ზრდა და ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა. აგრარულ სექტორში 35 წელზე ქვემოთ მომუშავეთა მოლოდ 6%-ია დასაქმებული, 50და 65 წლის ზევით მომუშავე ფერმერების წილი 50%-ზე მეტია, რაც პრობლემას ქმნის ცოდნის მიღების მიმართულებით. თუ მომავალშიც მუსაობის ნაკლები ინტერესი ექნება ახალგაზრდობას, ძველი თაობიდან ახალ თაობაზე EU აგრო საქმიანობის შესახებ ცოდნის გადაცემის ალბათობა იკლებს.მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგრარულ სექტორში მიღებული შემოსავლები საკმაოდ დაბალია და სხვა სექტორში მიღებული შემოსავლების 40%-ზე ნაკლებს შეადგენს. მთლიანად სექტორი ქმნის 47 მილიონ სამუშაო ადგილს. ევროკავშირის საშუალო ოჯახი სურსათზე შემოსავლის 15%-ს ხარჯავს, რაც საკმაოდ განსხვავდება საქართველოში არსებული მდგომარეობისაგან

(40%-ზე მეტი). ევროკავშირში ფერმერებს ეხმარება ჩამოაყალიბონ გასაღების ორგანიზაციები, შექმნან კოოპერაციები კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, მოახდინონ სპეციალიზება გარკვეული სახის წარმოდგენაზე, შექმნან საერთო ფონდები და სადაზღვეო სისტემები, რაც საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ სტაბილურობა საბაზრო მერყეობის დროს. აგროსექტორის განვითარებისთვის ერთ-ერთი საკითხია თანამედროვე ინოვაციების დანერგვა და ამეცნიერო კვლევების ინიცირება, რათა ფერმერმა მცირე რესურსების პირობებში უზრუნველყოს მეტი შედეგების მიღება.

აგრომიმართულებები სხვადასხვა ფონდიდან ფინანსდება - პირველი მათგანი დაფინანსებას იღებს ევროპის სასოფლო-სამეურნეო საგარანტიო ფონდიდან - მეორე მათგანი ფინანსდება სოფლის მეურნების განვითარების ევროპის სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან, რომელიც დაახლოებით 100 მილიარდ ევროს შეადგენს 2014-2020 წლებისთვის (28 წევრი ქვეყანა სხვადასხვა თანხებს იღებს ფონდიდან). მოცემულს ემატება 61 მილიარდი ევროს დანამატი თავად წევრი ქვეყნების ბიუჯეტიდან. დღეისთვის 118 განვითარების პროექტია ინიცირებული 28 ქვეყანაში თითოეულის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე მეტი პროექტი ხორციელდება ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში (სწორედ ეს ქვეყნები არიან მძლავრი წამყვანი აგროპროდუქტების წარმოების თვალსაზრისით)

დასკვნა

აგრობიზნესის განვითარება საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა; ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ქვეყნის მოსახლეობაში, დასაქმებასა და მთლიან შიდა პროდუქტში, აღნიშნული პრიორიტეტის შენარჩუნება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია;მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვყენის შიდა ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

წინა ათწლეულებში სათანადო პოლიტიკისა და ფონდების უქონლობის გამო სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის მხარდაჭერას უმნიშვნელო ყუღადღება ექცეოდა. ფერმერთა სტიმულირების ნაკლებობამსოფლის თვითდასაქმებული ფერმერების კვალიფიკაციის ზრდა შეაჩერა.აგრარულ სექტორებში მწარმოებელი ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირებისთვი სსაჭიროა, რომ მომსახურების ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ისინირჩევებითდა კონსულტაციებით, ვეტერინარიის, ზოოტექნიკის, აგრონომიის, დაგეგმვის, ფერმერული მეურნეობის მოვლის და მარკეტინგის სფეროებში. საქართველოში ამჟამად დაახლოებით 1მილიონი წვრილი ფერმერია და 1600-ზე მეტი ფერმერული კოოპერატივია რეგისტრირებული.

მიწის ფართობები, რომლებსაც მიწის განაწილების შემდეგ სოფლის მოსახლეობა ფლობს, მცირე ნაკვეთებადაა დანაწილებული. შეფუთვის, შენახვის, მოვლისა და დისტრიბუციის ინფრასტრუქტურის არქონა და შეზღუდული

საბაზრო ქსელები აფერხებს დამატებითი ღირებულებისმირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მთის მოსახლეობაში არსებული ამჟამინდელი რესურსები, როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად, არა ადეკვატურია ცხოვრების ნორმალური დონის უზრუნველსაყოფად. გზების სავალალო მდგომარეობა, საქონლის სულადობის შემცირება, სანაშენე მეურნეობის მოშლა, დაბალი მოსავლიანობა, ცხოველთა საკვები ბაზის სიმწირე და ფერდობებზე სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი განაპირობებს ამ კატეგორიის მოსახლეობის სიღარიბის მაღალ დონეს. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობის სექტორიბოლო 13 წლის განამავლობაში მცირდება, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უამრავი პროექტისა და რეფორმისა სოფლის მეურნეობის სექტორში. სერიოზული პროგრესი მაინც არ არის მიღწეული, უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის მიერ გამოშვებული პროდუქცია შემცირებულია 1996 წელთან შედარებით. აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობას განსაკუთრებული ძალისხმევა მოახმარა სოფელს. წელს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საკუთარი პროდუქციით იქნება უზრუნველყოფილი.

ვფიქრობთ, სექტორის მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს. აუცილებელია ქვეყანაში არსებული აგროწარმოების ხელშეწყობა, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტის ხარისხის მკაცრიკონტროლი, ადგილობრივი წარმოების წახალისება და მათი კონკურენტუნარიანად ჩამოყალიბება.

აგრობიზნესი გამოირჩევა გარემო და კლიმატური პირობების მიმართ მგრძნობელობით. იგი პირდაპირ კავშირშია კლიმატთან. მისი უმთავრესი რისკი და პრობლემა სტიქიური მოვლენებია. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა გვალვა, რომლის მიმართ არ არსებობს დაზღვევის კულტურა. ბოლო პერიოდშისახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა ქმედითინაბიჯები დაზღვევის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის. ევროპაში სავსებით მიღებულია გვალვისა და სეტყვის შემთხვევაში დაზღვევა და ეს ყველაფერი მოსავლიანობის 2%-ს შეადგენს. გვალვის პრობლემის აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ საირიგაციო არხებისა და სადრენაჟო

სისტემების მოწყობაშია, რაც ასევე დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს და აქაც დიდია სახელმწიფოს ძალისხმევა.

მეტად მნიშვნელოვანია აგროდაკრედიტების საკითხიც. საჭიროა დაფინანსების გაუმჯობესების გზების მოძიება, ასევე კერძო ბანკების მიერ პირადი რეგულაციებიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე შექმნილი ბარიერების გამარტივება. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები აუცილებლად საჯარო მოხმარების უნდა იყოს, იმისათვის, რომ მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა შეძლოს მისი გამოყენება.

ნათლად ჩანს, რომ სულ უფრო აუცილებელი ხდება ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება. ეს შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროს, მათ შორის აგრობიზნესს. კიდევ უფრო სერიოზული ურთიერთობებისათვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველა საკანონმდებლო აქტის ჰარმონიზაცია, ევროპის კავშირისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რაც ზემოაღნიშნულ სფეროებს რეალურად დააახლოვებს ევროპულ ანალოგებთან. აგრობიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ქმედითუნარიანი და მოქნილი იქნება საქართველოს აგრარული პოლიტიკა, რამდენად დააკმაყოფილებს აგრობიზნესის განვითარებისათვის საჭირო სტანდარტებს.

საქართველოში სოფლის მეურნების ხელშეწყობის მთვარ პრიორიტეტებად მიჩნეულ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში მოსახლეობის ჩართვა, მცირე ფერმერთა საქმიანობის გაფართოება, სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.ქართულ ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ ცხოვრების დონის რეალური ზრდისთვის თანამედროვე ეტაპზე აგრარულ სექტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება. სწორედ აგრარულ სექტორს შეუძლია შეასრულოს ლოკომოტივის როლი ქართული ეკონომიკის პრობლემების დასაძლევად. აგრარულ სექტორზე მიმართული პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს ფართო გაგებით და გააზრებული კომპლექსურად, მასში უნდა აისახოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოება, სოფლად და მცირე ქალაქებში გენერირებული შემოსავლების ტრანსფორმირება ადგილობრივი მცირე და საშუალო

ბიზნესის გაფართოების წყაროდ.სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული წარმოება და სერვისები: ტექნიკით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია, ნედლეულისა და საშუალებების მიწოდება, დასაწყობება, შეფუთვა, გადამუშავება, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა ტიპის მომსახურებები, საკმაოდ მნიშვნელოვანია პროდუქციის მწარმოებელ და გადამამუშავებელ სასარმოებს შორის ინტეგრაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთარდანელია, სოფლისმეურნეობა – სახელმწიფოპრიორიტეტი, ჟურნალი ქართულიპოლიტიკა #4, 28,12,2015;http://www.georgianpolitics.com/
2. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში, ეკონომიკური კვლევის ცენტრის ბიულეტინი, 2008 წელი, გვ.3
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
4. აგროსერვისცენტრი/Agroservice center, http://www.greengeorgia.ge/?q=ka/node/66
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/uploads/ek_seqtorebi/gdp_seqtorebi/sofelis_meurneoba_2014_3_geo.pdf
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/ge/economic-sectors/makroekonomika
7. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm
8. გ. ძაგნიძე, აგრობიზნესი და მეწარმეობის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 2010
9. http://www.nplg.gov.ge/gsdl/
10. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში -

http://www.government.gov.ge/files/288_39683_628242_%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4.pdf

11. კოღუაშვილი პაატა „როგორ ავაღორძინოთ ქართული სოფელი“ - http://www.nplg.gov.ge/
12. ცხოვრებოვა ანა, შეღავათიანი აგროკრედიტის სარგებელი და რისკები ფერმერებისათვის - http://bfm.ge/index.php?newsid=5430#.VL83btKUdm

13. ENPARD-ის დახმარება საქართველოს სოფლის განვითარების სტრ http://enpard.ge/ge/enpard
14. ENPARD – ძლიერისოფელიუკეთესიცხოვრებისთვის. WWW.ENPARD.GE
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
16. „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“- https://drive.google.com/file/d/0B3By27k_VyD8ZGFOcFMxQWlYVzg/view
17. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://mof.ge/
18. საქართველოსსოფლისმეურნეობის. განვითარებისსტრატეგია 2015-2020 წწ. საქართველოსსოფლისმეურნეობისსამინისტრო. www.moa.gov.ge/Download/Files/226
19. ალექსანდრე არაბული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი - https://openscience.ge/bitstream/1/778/1/samagistro%20arabuli%20aleqsande.pdf
20. აგროკავკასია - https://agrokavkaz.ge/agroplus/agroturizmis-ganvitharebis-gzebi-da-perspeqtivebi-saqarthveloshi.html
21. საპარტნიორო ფონდი - https://www.fund.ge/site/view/17
22. ვიკიპედია - https://openscience.ge/bitstream/1/778/1/samagistro%20arabuli%20aleqsande.pdf
23. აგრო ნიუს ჯი - https://agronews.ge/biomeurneobis-saphudzvlebi-_-ra-aris-biomeurneoba/
24. აგროკავკასია - https://agrokavkaz.ge/agroplus/biomeurneobebi-da-mathi-roli-agrobiznesis-ganvitharebashi.html
25. საქართველოს ბიო პროდუტების მწარმოებელთა ასოციაცია - http://www.organicgeo.ge/organic-agriculture/
26. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 – http://gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13%E2%80%931.pdf

27. Bpn ბიზნეს სიახლეები - https://www.bpn.ge/article/22994-ratom-ar-vitardeba-sakartveloshi-msxvili-permeruli-meurneobebi/
28. გორის მუნიციპალიტეტი, სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა - http://economists.ge/pdf/66geo.pdf
29. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი - https://gtu.ge/bef/pdf/
30. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი - http://eiec.gov.ge/
31. ლელა ჯახაია აგრარული. სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები - https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9997_1.pdf
32. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო - http://gori.gov.ge/files/uploads/kartuli.pdf
33. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნწბულის ადმინისტრაცია - http://shidakartli.gov.ge/ge/news/index/267
34. ჯალაბაძე მარიამი. შიდა ქართლის თანამედროვე ლანდშაფტები - https://openscience.ge/bitstream/1/1567/1/MA%20Thesis%20Jalabadze%20Mariami.pdf
35. ივანე ჯავახივილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - http://conference.sens-2014.tsu.ge/uploads/
36. „ჯორჯიან თრეველ გუიდ“ - https://georgiantravelguide.com/ka/shida-kartli
37. ლიანა ხაჯიშვილი ინვესტიციები - საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმი - https://openscience.ge/bitstream/1/663/1/samagistro%20khajishvili%20liana.pdf
38. საქართველოს გარემო დაცვისა დასოფლის მეურნეობის სამინისტრო - ინვესტორთათვის https://mepa.gov.ge/Ge/Page/investor
39. ანა გოგოტიშვილი უცხოური ინვესტიციების გავლენა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე https://openscience.ge/bitstream/1/756/1/samagistro%20gogotishvili%20ana.pdf
40. საქართველოს გარემო დაცვისა დასოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 - https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/27243
41. ევროპა საქართველოსთვის, ბაზარსა და ფინანსებზე წვდომა - http://eugeorgia.info/ka/article/460/bazarsa-da-finansebze-wvdoma-axali-standartebi-damciremiwianoba-----fermerta-da-politikosta-tavsatexi-/
42. ევროკავშირი საქართველოსთვის http://enpard.ge/ge/

43. „აგიგ“https://agconsulting.ge/?lang=uk
44. საქართველოს გარემო დაცვისა დასოფლის მეურნეობის სამინისტრო https://www.google.com/search?q=mepa.gov.ge%20%E2%80%BA%20Files%20%E2%80%BA%20Download
45. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია,“საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“, 2011
46. დ. ჩარკვიანი, თ. ჭინჭარაული, ე. შატბერაშვილი, „სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის კვლევის შედეგები“, თბილისი. 2010
47. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები
48. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
49. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARDGEORGIA), 2013)
50. ერქომაიშვილი გულნაზი, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული წინამძღვრები, თბილისი2016 7 საქართველოს სტატსტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
51. სტატია: კოღუაშვილი ჩხეიძე, agronews.ge „სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა“ agronews.ge
52. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო - https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-soplis-meurneobis-sektorshi-2012-2019-clebshi-arsebuli-ziritadi-tendenciebi
53. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო, ეკონომიკური კონფერენციის „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“ ფარგლებში, გარემოს დაცვისა - https://ghn.ge/news/220002
54. ზურაბბერიძე ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში - http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000453/Beridzei.pdf
55. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეპორტები - https://mepa.gov.ge/Ge/Reports

56. ჯენი ჭოლაძე სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა: როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუტი -https://openscience.ge/bitstream/1/1243/1/MA-Thesis-Tcholadze-Jennypolitmec2019.pdf
57. რადიოთავისუფლება, სოფლისმეურნეობის განვითარების სტრატეგია https://www.radiotavisupleba.ge/a/soflis-meurneobis-strategia/25469899.html

58. სპუტნიკი, უნდა ვაწარმოოთ ის პროდუქტი, რომელიც მომგებიანია და არა ის, რაც გვიყვარს https://sputnik-georgia.com/opinion/20170327/235364223/rchevebi-glexebs.html
59. რადიო ფორტუნა, გემოვანი, გენეტიკურად ქართული პროდუქცია მსოფლიოს დასაპყრობად ემზადება - https://fortuna.ge/fortuna/post/gemovani-genetikurad-qartuli-produqcia-msoflios-dasapyrobad-emzadeba
60. ქართული რძე, ქართული რძის ნიშის შესახებ - georgianmilk.ge/about-us
61. აწარმოე საქართველოში - http://nasp.gov.ge/page/acarmoe/
62. გაზეთი რეზონანსი - www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=5&id_artc=32276
63. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka
64. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პროექტები - https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/15
65. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო - https://transparency.ge/ge/post/sakartvelos
66. იუ ეს აი დი - https://www.usaid.gov/ka/georgia/news-information/news/georgian-agriculture
67. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - arda.gov.ge/
68. ევროპა საქართველოსთვის - eugeorgia.info/ka/404/
69. თი ბი სი ხიზნესისათვის - https://www.tbcbusiness.ge/
70. ქართული სამეცნიერო ნაშრომების ელექტრონული არქივი- https://openscience.ge/bitstream/
71. ბათუნის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი -

https://www. bsu.edu.ge/